# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 23 მარტი, 2011 წელი.

№53 (6665)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




## გზის მშენებლობა „სააკაშვილისებურად“

როდემდე უნდა შეეწიროს მავანთა ხუშტურებს, დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებსა თუ მიკერძოებას უამრავი თანხა, დრო და უნაყოფო შრომა?

④

## ჟურნალისტიკის მაესტრო იუბილარია



გალაკტიონი (ზოლო ფოტო) და ნოდარი

საცსე ქართული პატიოსნებით...

ნოდარ ტაბიძე – 80

⑥

„ამერიკული სიმინდი, იაპონური ტრაქტორი, ბულგარული სასუქი... თურქულ დუქნებში გამომცხვარი, ჰო, ჰო, ჰო, მაინც რა არის ეს ჩვენი ქართული მჭადი!..“

③

## მედიაგარემოს გასაუმჯობესებლად ხელისუფლება მზად არ არის

⑨

ჟურნალისტებს კი „ვერ გაუგიათ“, რა უშლით ხელს?!

ამერიკელი „სტუმარი“

## ჰიბრიდული სიმინდი – მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა

⑤

## სამთავრობო კვირა პარლამენტში

## პასუხგასაცემი კითხვები

②



საredაქციო ფოსტიდან

## ესეც შენი დასაქმების პროგრამა... 300 სპეციალისტი – ქუჩაში!..

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

თერაპიის ეროვნული ცენტრის (თერაპიის ინსტიტუტის) თანამშრომლები შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი მოგმართავთ. ვიცით, ჩვენს გულისტკივილს გაიზიარებთ. გაცნობებთ, რომ ა. წ. 27 იანვარს ექიმთა დილის კონფერენციაზე მისმა ახლანდელმა დირექტორმა მერაბ კვიტაშვილმა და კლინიკის მთავარმა ექიმმა გიორგი სამადაშვილმა თავიანთ თანამშრომლებს რიხით გამოგვიცხადეს, ჩატარებულ აუქციონზე შენობა გაყიდულია და ჩქარა უნდა დატოვოთო. კითხვაზე: სად წავიდეთო? იყო პასუხი: სადაც გინდათ, იმათ შენობა იყიდეს და არა სამედიცინო პერსონალიო...

ერთ დროს სახელოვანი კოლექტივი, 300 სპეციალისტზე მეტი სამედიცინო პერსონალი, რომლებსაც ავადმყოფის საწოლთან მრავალი უძილი ღამე უთენებიათ და მრავალი სიცოცხლე გადაურჩენიათ, წარსულში მრავალი გამოწვევისთვის გაუძლიათ, ახლა უცბად ქუჩაში აღმოჩნდნენ.

თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე ჩვენი ცენტრის თანამშრომლებს მიენიჭათ მრავალი სახელმწიფო და სახელობითი პრემია, ინსტიტუტის ძირითადი მიღწევები ასახულია რესპუბლიკურ და უცხოურ პუბლიკაციებში. მისი თანამშრომლები არიან მრავალი მეცნიერული შრომის და 30-ზე მეტი გამოგონების ავტორები. ინსტიტუტს ფართო სამეცნიერო კონტაქტები აქვს რესპუბლიკურ და უცხოეთის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან. ინსტიტუტის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცეს მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერებმა, რომელთა შორის არიან: სამედიცინო აკადემიის საპატიო წევრი პ. უაიტი (აშშ და სხვები.

ინსტიტუტი ამავე დროს წარმოადგენდა სამედიცინო კადრების მომზადების შეუცვლელ ბაზას.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული თერაპიული სკოლა აღარ არსებობს.

დღეს, როცა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ვითომდაც სამუშაო ადგილების შექმნაა – უმუშევართა რიგებს უერთდებიან ჩვენი თანამშრომლებიც (მათ შორის მედიცინის დოქტორებიძ.

ინსტიტუტის სახელით:

მარინა კაკულია, ლალი ვაშაყმაძე, ნინო ესებუა; ნინო მაისაშვილი, ირინა ხურცია, ლამარა სტეფანოვა, გივი მეგრელიშვილი, გიული მომცელიძე, გურამ ზუბადალაშვილი, გურამ დილმელაშვილი.

## მოსკოვი აფხაზეთს გაგრას ართმევს

②



სამთავრობო კვირა პარლამენტში

# პასუხგასაცემი კითხვები

**22-25 მარტს საქართველოს პარლამენტში სამთავრობო კვირაა, ანუ მინისტრთა მოსმენაა. გამოსვლების შემდეგ მათ შეკითხვებზე პასუხების გაცემა მოუწევთ.**

**სავარაუდოა, რომ საკმაოდ მწვავე საუბრები გაიმართება, რადგან მრავალი მწვავე კითხვა ტრიალებს როგორც პარლამენტში, ისე საზოგადოებაში.**

**მაგალითად, პროფესიული განათლების შესახებ, რის საჭიროებაზე ამდენი ლაპარაკი და ფაციფუცია, ოღონდ, გაკეთებული ჯერ არაფერი ჩანს, უფრო — პირიქით: ზოგიერთი რამ, თითქოს სპეციალურადო, გაფუჭდა.**

**პარლამენტში ამ ღონისძიებისთვის არაერთი შეკითხვა შევიდა საზოგადოებისგან.**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მთავრობის „პოლიტიკური გადაწყვეტილების“ საფუძველზე 2010 წლის 10 სექტემბერს ერთდროულად 18 პროფესიული განათლების ცენტრის ლიკვიდაცია მოახდინა. **ისმის კითხვა: ამ პროფესიული ცენტრების სავარაუდო ლიკვიდაციის მიზანშეწონილობა რატომ არ გახდა მთავრობის მსჯელობის საგანი?**

2010 წლის 10 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნ. გილაურმა და მინისტრმა დ. შაშკინმა 2011 წლის ბოლომდე 8 არარეაბილიტირებულ პროფესიულ კოლეჯში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ვალდებულება აიღეს. **შეკითხვა: რატომ არ სრულდება ეს ვალდებულება?**

მთავრობის იმავე სხდომაზე ბატონმა პრემიერმა განაცხადა, რომ 2011 წლიდან პროფესიულ კოლეჯში მომზადდებიან ევროპული სტანდარტების დონის სპეციალისტები, რომლებიც დასაქმდებიან ევროპის წამყვან ქვეყნებში და, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთში, რომლის მთავრობასთანაც უახლოეს პერიოდში გაფორმდება სათანადო მემორანდუმი. **ამის შემდეგ ნახევარი წელი გავიდა, განათლების სამინისტრომ კი დღემდე ვერ შეიმუშავა ვერც ევროპული დონის და ვერც ჩვენი ქვეყნის დამსაქმებლებისთვის მისაღები პროფესიული სტანდარტები და საგანმანათლებლო პროგრამები. რატომ?**



ქვეყნის პრეზიდენტი და მთავრობა ბევრს ლაპარაკობენ, რომ დიდ ყურადღებას ანიჭებენ სოფლის მეურნეობას. და ამ დროს შარშან, წლის ბოლოს, გაუქმდა 8 აგრარული მიმართულების პროფესიული კოლეჯი, მათ შორის ისეთი ძლიერი პროფესიული კოლეჯები, როგორებიცაა დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონიძ, ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ი. წინამძღვრიშვილის სახელობის წინამძღვრიანთკარის პროფესიული კოლეჯი, ქვემო ქართლში მდებარე ერთადერთი, კაზრეთის პროფესიული კოლეჯი, აგრეთვე ხობში, ჩხოროწყუში, ქართლში არსებული კოლეჯები. **კითხვა პრემიერს: არ მიგაჩნიათ, რომ დაშვებულია მძიმე შეცდომა და გაუქმებული სასწავლებლები სასწრაფოდ აღსადგენია? საჭიროდ არ მიგაჩნიათ, რომ პარლამენტთან ერთად შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც ადგილზე შეისწავლის ამის მიზანშეწონილობას?**

შარშან აგვისტოში ტყიბულში პრეზიდენტმა მთავრობას მისცა დავალება, რომელიც შეეხებოდა პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისათვის, მისი ქსელის გაძლიერებისათვის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას. **რატომ არ სრულდება პრეზიდენტის დავალება?**

დაბოლოს: **რატომ არ სრულდება საქართველოს მთავრობის 2008 წლის 7 მარტის №294 განკარგულება პროფესიული განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“, რომლის მიხედვითაც საქართველოს მასშტაბით მინიმუმ 50 კერძო პროფესიული ცენტრის შექმნა იყო გათვალისწინებული?**

როგორც ვთქვით, კითხვები კიდევ მრავლად არის, პასუხები კი არ ჩანს. ახლა სწორედ ის დროა, ჩვენმა მთავრობამ ყოველ მათგანს გასცეს პასუხი, პარლამენტის ტრიბუნა ორატორებს ელის, ხალხი და საქმე კი — კონკრეტულ ქმედებებს!

**სანდრო ალექსიძე**




ვიღაცამ ხუმრობა ხომ არ გადაწყვიტა...

**რაში დასჭირდა მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვეყანას, იაპონიასთან კურილიის კუნძულების გამო კვლავ ამოტივტივებული პრობლემის ფონზე, კიდევ ერთი ტერიტორიული ნაღმი? კითხვა რიტორიკულია, თავად რუსებისთვისაც კი, მაგრამ პატარა აფხაზეთისათვის, თავისი მასშტაბებით ამდენად დიდი ტერიტორიის დაკარგვა კატასტროფის ტოლფასია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელი სულაც არ არის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ჩატარება - აზრი იმთავითვე ცხადი და გასაგებია: ყველა წინააღმდეგი იქნება. ამ მიწისთვის ხომ ჯერ კიდევ სულ ახლახან (1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს) ძალიან ბევრი სისხლი დაიღვარა, იმისათვის, რომ აი ასე უბრალოდ უარი ითქვას მასზე, თუნდაც მსოფლიოში ერთადერთი, აფხაზეთის რეალური პარტნიორის სასარგებლოდ.**

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს სერგეი ბაღაფშს მძიმე დრო დაუდგა - კრემლი მისგან ტერიტორიულ დათმობებზე წასვლასა და 160 კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის დათმობას მოითხოვს. მოსკოვის მოთხოვნის მიხედვით გაგრის რაიონი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უნდა იყოს, სეპარატისტები კი აფხაზეთის დარჩენილი ტერიტორიით უნდა დაკმაყოფილდნენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აფხაზი ჟურნალისტი ინალ ხაშიგი ვრცელ სტატიას აქვეყნებს, რომელშიც სეპარატისტული ხელისუფლების მიერ მოსკოვთან მიმართებაში გატარებულ პოლიტიკაზე საუბრობს და მომავლის სავარაუდო მონახაზს აკეთებს - რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ბაღაფში ამგვარ დათმობაზე წავა. აფხაზი ჟურნალისტის განცხადებით, მოსკოვის სურვილის დაკმაყოფილება აფხაზეთის გარდაცვალების ტოლფასი იქნება.

**„როგორც ჩანს, სერგეი ბაღაფშს თავის პოლიტიკურ კარიერაში ყველაზე მთავარი გამოცდა ელოდება. ამ გამოცდასთან შედარებით, დრამატული მოვლენები, რომლებიც 2004 წელს გამართულ არჩევნებთან დაკავშირებით მოხდა, რომელთა შედეგადაც სერგეი ბაღაფში ხელისუფლების სათავეში მოვიდა, შეიძლება მხოლოდ ყვავილებად გამოჩნდეს. ახალი გამოცდა პირდაპირაა დაკავშირებული აფხაზეთ-რუსეთის საზღვრის დემარკაციის საკითხზე. ამჟამად მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს, რომელთა მონაწილეები კომენტარებისა და განცხადებებისგან თავს იკავებენ, თუმცა, როგორც ჩანს, ეს პერიოდიც მალე დასასრულს მიუახლოვდება.**

**ეს პასუხისმგებლობის საკმაოდ მძიმე ტვირთია — ინფორმაციის გარეშე ამყოფო საკმაოდ პოლიტიზებული აფხაზური საზოგადოება. ტვირთი კი მართლაც მძიმეა.**

**მეტრის ტერიტორიის მთლიანად თუ არა ამ მიწის ნახევრის მიღებას მაინც.**

**არგუმენტები კი, რომელთა გამოც ტერიტორიულ დათმობებზე წასვლა შეიძლება, საკმარისია და დარწმუნებული ვარ, დამოუკიდებლობის აღიარების შეხსენება მოლაპარაკებათა მაგიდასთან მთავარი ბერკეტი როდია. ზეწოლის ძირითადი ბერკეტი — მატერიალურია.**

**ფინანსურმა წვიმამ, რომელმაც აფხაზეთს აწვიმა ბოლო ორი წლის განმავლობაში, მაინც ვერ შეძლო აფხაზეთის ეკონომიკის ფეხზე დაყენება, თუმცა უწესობამდე გაამდიდრა ადგილობრივი ბიუროკრატია.**

## მოსკოვი აფხაზეთს გაგრას ართმევს?!



**აფხაზური პარლამენტიდან გამოჟონილი ინფორმაციით, რუსული ხედვა იმისა, თუ სად უნდა გადიოდეს საზღვარი - ინფარქტულ-ლეტალურია სოხუმისათვის. მოსკოვი სთავაზობს ან მოითხოვს (ვის როგორ მოსწონს), მისცენ მას აფხაზური ტერიტორიის 160 კვადრატული კილომეტრი, ანუ გაგრის რაიონის პრაქტიკულად მთელი სამხრეთ-დასავლეთი.**

**ოფიციალური სოხუმი ხომ გაცილებით უფრო დამყოლია, დამთმობია, და რაც ყველაზე მთავარია, მადლიერია, ვიდრე ისინი, ვისაც ეს ხელისუფლება წარმოადგენს. რაღაც გარკვეული დაკვირვების გამოცდილება კრემლს ამასთან მიმართებაში უკვე აქვს და სოხუმისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებით, რუსეთი რეალურად ალბათ იმედოვნებს 160 კვადრატული კილო-**

**ის, რომ მოსკოვი შესაშური გულმოდგინებით აკვირდება, თუ როგორ ილექება რუსი გადამხდელის მიერ გადახდილი თანხა აფხაზი ჩინოვნიკების ჯიბეებში, ის რომ, რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელმა სერგეი სტეპაშინმა რუსული ფინანსური დახმარების ხარჯვის შემოწმებისას 347 მილიონი რუბლის დანაკლისი აღმოაჩინა და ამას არა ქურდობა, არამედ უცნაური ტერმინი „გაძვირებულობა“ უწოდა, არ უნდა იქნეს აღთქმული როგორც დიდსულოვნება და მით უფრო დახმარების გამღები ხელის სისუსტე.**

**კრემლის ტრადიციებში არ შედის წვრილმანებზე ჩაციკვლა, მით უფრო, როდესაც წინასწარ იცი, რომ ეს „გაძვირებულობა“ წინასწარ იყო გათვლილი და განსაზღვრული. და ამას „აფხაზ ჩინოვნიკებში ინვესტირება“ ეწოდება.**

**უნდა ითქვას, რომ ძალიან მომგებიანი ბიზნესია. დებ ერთ მანეთს და იღებ ასს. გასულ წელს, ხელისუფლების მთელი რიტორიკა მიმართული იყო ხალხის „სწორ რელსებზე“ დაყენებაზე, რომელიც „რუსეთის სიყვარულამდე“ მიდიოდა (ამასთან ერთად სამშობლოზე არ იყო ნათქვამი არც ერთი სიტყვა). ეს მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად ეფექტიანად მუშაობს ხარჯვის ამგვარი ნაწილი და რატომაც არ უნდა ამოქმედდეს იგი ახლა?**

**თუმცა, თუ რუსეთისთვის პირობით 1 რუბლად სამი ელიტარული რეზიდენციის გადაცემის — ყოფილი ლიდერების სახელმწიფო აგარაკების - ხრუშჩოვის, გორბაჩოვისა და ბერიას ან, მაგალითად, სახელმწიფო კორპორაცია „როსნეფტისათვის“ აფხაზეთის შელფზე ნავთობის მოძიებისა და მოპოვების ექსკლუზიური უფლების გადაცემისას აფხაზეთის ხელმძღვანელობა კიდევ პოულობდა არგუმენტებს საზოგადოების თვალში თავიანთი მოქმედებების გასამართლებლად — „ეს აგარაკები არასოდეს ყოფილა ჩვენი“, „თუ ნავთობს არ მოვიპოვებთ, მას სხვა ამოქაჩავს“ და ,საერთოდაც უნდა იცოდე, რომ მადლობელი უნდა იყო“ — ახლა შესაბამისი გამამართლებელი ახსნა-განმარტების მოძებნა საზღვრის დემარკაციის საკითხთან დაკავშირებით და ახსნა იმისა, თუ რატომ უნდა მივცეთ ჩვენ ჩვენი მიწის უზარმაზარი ნაწილი რუსეთს — შეუძლებელია.**

**ამასთან ერთად, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ კრემლისათვის ტერიტორიული პრეტენზიები პრინციპული საკითხია, მაშინ სერგეი ბაღაფშს ნებისმიერ შემთხვევაში კარგი დღე არ ელოდება. მიწა რომ არ დაუთმოს, მაშინ პასუხად რუსული ფინანსური დახმარება აფხაზეთის მიმართ საგრძნობლად შესუსტდება. თან იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ბიუჯეტის 70 % რუსეთის დოტაციით ივსება ეს ქვეყანაში დესტაბილიზაციამდე და ხელისუფლების შეცვლამდე მივა. დაუთმობენ მიწას - მაინც დესტაბილიზაცია და ვადამდელი გადადგომა იქნება.**

**მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვიმედოვნოთ, რომ კრემლში ვიღაცამ ხუმრობა გადაწყვიტა“...**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ პრობლემა

„მოვითხოვ, მომცეთ უფლება, ვჭამო ის, რაც მინდა, მით უმეტეს, თუ ის იაფია. ვენდობი ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდება, რაც მომწონს და მეგემრიელება. ასევე მინდა ვთქვა, რომ არასოდეს მოვწამლულვარ. ვფიქრობ, მოსახლეობამ თვითონ უნდა შეაფასოს, რა უნდა და რა არა. ამისთვის არ მჭირდება ხარისხის მაკონტროლებელი და მგეგმავი“, — წერს ერთ-ერთ ინტერნეტფორუმზე ქართველი მომხმარებელი. დამეთანხმებით, ჩვენი რეალობა სწორედ რომ ასეთია და გაუგებარია მომხმარებლის ასეთი მძიმე ტონი — „მოვითხოვ“, რადგანაც ისედაც ვჭამთ იმას, რაზეც ხელი მიგვიწვდება, და არ ვიცით არაფერი მისი ხარისხისა და სარგებლიანობის შესახებ. სურსათის უვნებლობის შესახებ კანონი კვლავ ძალაში შესვლას ელოდება და საეჭვოდ იგვიანებს.

# „ამერიკული სიმინდი, იაპონური ტრაქტორი, ბულგარული სასუქი... თურქულ ღუმელში გამომცხვარი, ჰო, ჰო, ჰო, მაინც რა არის ეს ჩვენი ქართული მჭადი!..“



## მართლა არ გვჭირდება ხარისხის მაკონტროლებელი და მგეგმავი?!

ამას წინათ სურსათის უვნებლობის სააგენტომ საჯაროდ განაცხადა, რომ კვების საწარმოების შემოწმებას იწყებდა. ცოტა არ იყოს, გაუგებარი იყო თავად ინიციატივა, რადგან დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სადამსჯელო ღონისძიებები არ იგეგმებოდა, ხოლო საწარმოს შესახებ ინფორმაცია დახურული იქნებოდა. სპეციალისტებმა, რა თქმა უნდა, იმთავითვე სკეპტიკურად შეხედეს პროცესის ეფექტიანობას. ხოლო მომხმარებელი თავისთავად ინფორმაციის გარეშე დარჩა. ფაქტია, რომ ჩვენი ბაზარი მავნე საკვებისგან დაცული არ არის, ხოლო იმპორტირებული პროდუქცია ამის საუკეთესო საშუალებაა, მით უმეტეს, რომ ადგილზე მისი ფუნდამენტური გამოკვლევა შეუძლებელია... მაგრამ, რისგან ვართ დაუცველები, რა მავნე ელემენტებს შეიცავს ესა თუ ის საკვები, ან რა ემუქრება ჩვენს ჯანმრთელობას? კონკრეტული პასუხი არა გვაქვს, ზედაპირული ვარაუდების გარდა...

* * *

რომელი კომპანიის საკვებ პროდუქტს ენდობით? — ინტერნეტფორუმზე ამ გამოკითხვას დიდი ინტერესი მოჰყვა. გთავაზობთ ამონარიდებს და იმ მომხმარებელთა აზრებს, რომელთაც აღელვებთ საკუთარი ჯანმრთელობა და კომპანიების ნაწარმის ხარისხი:

— „მიხარია, რომ თანდათან მატულობს ქართული პროდუქტი მაღაზიის დახლებზე. „კულა“, „მარნეული“, „ტკბილი ქვეყანა“, „ბარამბო“ და სხვა. ჯერ კიდევ ცოტაა ასორტიმენტი, მაგრამ აშკარად მზარდი ტენდენციაა. რაც შეეხება, ხორცპროდუქტების მწარმოებლებს — „ნიკორას“, „მითანას“, „იოლს“ და სხვას, — მათ არ ვენდობი. იაფფასიან იმპორტირებულ ხორცს ხმარობენ, რასაც არც ერთი დასავლური ქვეყანა თავის ბაზარზე არ დაუშვებს“.

— „სხვადასხვა ემულგატორსა და კონსერვანტს ყველა სერიული წარმოება იყენებს. სხვაგვარად პროდუქციის წარმოება გამორიცხულია, მაგრამ ეს „მომწამვლელს“ არ ნიშნავს. გააჩნია, რამდენად შეესაბამება დადგენილ ნორმებსა და გამოცდილებას. ამ სიის გადახედვა განვითარებულ ქვეყნებში პერიოდულად ხდება, ჩვენთან კი...“

— „მომხმარებელს ჰგონია, რომ „ქართული“ ავტომატურად ნიშნავს ეკოლოგიურს, ნატურალურს, არამავნეს. მაგრამ არის თუ არა ეს ასე, ამის დადგენა ძნელი არ არის. თბილისში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიებია და კეთილსინდისიერ კომპანიებს შეუძლიათ იქ შეამოწმონ საკუთარი პროდუქცია. მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ, რადგან მთავრობა არ სთხოვს, ხოლო მომხმარებელს ამის ძალა არა აქვს“.

— „ვენდობი მარნეულის სასურსათო ქარხნის ნაწარმს. მისი პროდუქტები ძალიან გემრიელია და მიმაჩნია, რომ ხარისხიანიც არის. ვენდობი „სანტესაც“, რადგან ზამთრის განმავლობაში წერია, რომ რძის ფხვნილისგან მზადდება, ხოლო ზაფხულში — „მზადდება ნატურალური რძისგან“.

— „არც ერთ ქართულ კომპანიას არ ვენდობი, რომელ ნდობაზეა საუბარი, როცა „სანტეს“ გამოშვების თარიღიც კი არ უწერია.

— „მარნეულის სასურსათო ქარხნის წარმოების პროდუქტების აქტიური მომხმარებელი ვართ მთელი ოჯახი. ჯემები, მურაბები, მწნილი, ტომატი — ყველაფერი საუკეთესოა. ქართულ წარმოებას ხელშეწყობა უნდა, ამიტომ, ყველა ქართველი ვალდებულია, შეიძინოს ადგილობრივი წარმოების პროდუქტი“.

— „გამაგებინეთ, რას ნიშნავს „ქართული პროდუქტი“? „ქართულ შაქარში“ წარწერის მეტი რაა ქართული? „მარნეულს“ კიტრი ირანიდან ჩამოაქვს და რეკლამას უკეთებს, ქართულიაო, ამდენი კიტრი საქართველოში ელემენტარულად არ მოდის“.

— „გეთანხმებით, ჩვენ თუ არ შევუწყვეთ ხელი ჩვენი წარმოების განვითარებას, ვიყოთ ასე სხვების ხელების შემყურე და მალე პურისა და ღვინის იმპორტიც დაგვჭირდება“.

— „ მე კიდევ საშინლად მაბრაზებენ ქართველი მეწარმეები, რომლებსაც ქართველი მომხმარებლის მოტყუების ხარჯზე ფულის კეთების არ რცხვენიათ. მე თურმე პატრიოტი უნდა ვიყო და იმათი უხარისხო საქონელი ვიყიდო! ისინი არ უნდა იყვნენ პატრიოტები, რომ არ იკადრონ ჩემთვის უხარისხო სურსათის შემოთავაზება?!“

* * *

ბუნებრივია, დებატები და მსჯელობა ამ საკითხზე შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. რამდენიც ადამიანია, იმდენი შეხედულება და აზრია, მაგრამ ამას შეიძლება ადვილად დაესვას წერტილი — რეალური სურსათის ხარისხის მაკონტროლებელი სამსახურის ამოქმედებისთანავე. მომხმარებელი უნდა იყოს ინფორმირებული და ეს ადამიანის ბუნებრივი უფლებაა, რომელსაც ევროკონვენცია აღიარებს. ევროკავშირშიც ძალიან მკაცრად სთხოვენ საქართველოს ხარისხის კონტროლის რეგულაციას, თუმცა თითქმის ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე პროცესი უვადოდ იწელება.

სხვათა შორის, „რუსთავი-2“-ის იუმორისტულ გადაცემა „კომედი შოუში“, ნამდვილად კარგი იუმორი გამოუვიდათ, ცოტა არ იყოს სატირული. სკეტჩის სიუჟეტის მიხედვით, სოფელში გლეხებთან სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს ჰიბრიდული სიმინდის თესლი ჩააქვთ. რა თქმა უნდა, რეკლამასაც არ აკლებენ. გლეხი „ენდობა“, მაგრამ ჩვეული სისხარტით კი ამბობს: ამერიკული სიმინდი, იაპონური ტრაქტორით მოხნული მიწა, ბულგარული სასუქი, თურქულ ღუმელში გამომცხვარი, ჰო, ჰო, ჰო, მაინც რა არის ეს ჩვენი დალოცვილი ქართული მჭადი“!..

იქნებ, ვინმეს ენიშნოს ეს სიმართლეგარეული იუმორი და რეალურად მტკივნეულად შევხედოთ პრობლემას?!

თეა მოსია

◉ ვითარება

## ვაჟა ლორთქიფანიძე: ლიბიის მოვლენებში დასავლეთის ჩარევა გასაგებია, თუმცა დოზირებული უნდა იყოს



როგორც „პირველს“ პოლიტოლოგმა ვაჟა ლორთქიფანიძემ განუცხადა, „მუამარ კადაფის მიერ საკუთარი მოსახლეობის დაბომბვა ყოვლად მიუღებელია და დასავლეთის რეაქცია და ჩარევა ამ მხრივ გასაგებია, თუმცა ის დოზირებული უნდა იყოს“.

„ლიბიაში მიმდინარე მოვლენები მარტივი არ არის და მას მხოლოდ ერთი მიზეზი არ აქვს. კადაფის 42-წლიანმა დიქტატურამ დრო მოჭამა და ხალხი გულწრფელად აღშფოთებულია. ეს მთავარი მიზეზია, თუმცა აქ მხოლოდ დემოკრატიისკენ სწრაფვა არ არის. არ გამოვრიცხავ, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმის მკვეთრი გააქტიურებაც იყოს და რაც ხდება, ამ ძალებისა და დემოკრატიული იდეების ნარევია. რაც შეეხება ნავთობის ფაქტორს, მისი კონტროლი რაღაც დოზით მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა არა მგონია, ამ სიტუაციაში გადამწყვეტი იყოს“, — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

ამასთან, ექსპერტი იმედოვნებს, რომ მოვლენები ლიბიაში დემოკრატიულად განვითარდება და რევოლუცია ხელისუფლებაში ფუნდამენტალისტების მოსვლით არ დამთავრდება, როგორც ეს 1970-იანი წლების ირანში მოხდა.

„დასავლეთის ჩარევა სწორი და გამართლებულია, თუმცა ის დოზირებული უნდა იყოს და მართლა ნავთობის კონტროლს არ ემყარებოდეს. დასავლეთის ჩარევა ადეკვატური უნდა იყოს და არა მხოლოდ კადაფის დამხობას, არამედ მის შემდეგ ხელისუფლებაში დემოკრატიული ძალების მოსვლასაც ისახავდეს მიზნად“, — დასძინა ექსპერტმა.

## ვასილ ჭყოიძე: რუსეთი, როგორც არასდროს, ისეთ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა



სწორედ ასე ხსნის ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში ვასილ ჭყოიძე ლიბიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების თაობაზე ოფიციალური მოსკოვის პოზიციას და იმ გალიზიანებას, რომელიც გაეროს რეზოლუციასთან და კოალიციურ ძალებთან მიმართებაში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა გამოხატა.

„პირველთან“ საუბრისას ჭყოიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ლიბიის საკითხში ინიციატივა მთლიანად საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს და აშშ-ს აქვთ აღებული და რუსეთი პროცესებზე ველარავითარ გავლენას ვერ ახდენს“.

ამასთან, ექსპერტის აზრით, რუსეთის პრემიერის ასეთი რეაქცია შესაძლოა, „იმ აღშფოთებასაც უკავშირდებოდეს, რომელიც რუსეთის კონსერვატიულ წრეებში გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის თავშეკავებულმა პოზიციამ გამოიწვია“.

„ძალიან ბევრმა იმპერიალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსმა და ექსპერტმა დაგმო ოფიციალური მოსკოვის პოზიცია და ის ფაქტი, რომ რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ვეტო არ დაადო. დღეს კი პუტინის მიერ ამ დოკუმენტის „შუასაუკუნეების ჯვაროსნულ მოწოდებად“ შეფასება და აშშ-სთვის „უსინდისოს“ წოდება მთლიანად წინააღმდეგობაში მოდის გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის მიერ დაფიქსირებულ ოფიციალურ პოზიციასთან. როგორც ჩანს, რუსეთი რამდენიმე ფაქტორმა გააღიზიანა: მან დაკარგა ის ხელსაყრელი ბიზნეს-გარიგებები, რომელიც კადაფისთან აკავშირებდა. გარდა ამისა, აშკარად იგრძნობა, რომ ამ პროცესებზე რუსეთის გავლენა ნულზეა დასული. უფრო მეტიც, სხვა პრორუსულ რეჟიმებს, მაგალითად, სირიასა და იემენში სერიოზული პრობლემები შეექმნათ. რაც მთავარია, ჩრდილოეთ აფრიკაში პოლიტიკური ინიციატივა მთლიანად საფრანგეთის, აშშ-სა და მათი მოკავშირეების ხელში გადავიდა“, — განუცხადა „პირველს“ ჭყოიძემ.



◎ გზად მომავლისკენ

# გვეშველება რამე?

## ანუ აუცილებლობა, რომელსაც საზოგადოება აცნობიერებს

**ბოლო ოცი წელიწადის განმავლობაში საქართველოში ადამიანებს შორის ერთმანეთის მოკითხვის ტრადიციული ფორმები – როგორა ხარ, რას შვრები, რას საქმიანობ, რა ხანია არ მინახიხარ და ა.შ. შეცვალა ახალმა ფორმამ – გვეშველება რამე? ეს მოვლენა, თავის დროზე, კარგად შენიშნა ჩვენმა დიდებულმა მსახიობმა კახი კავსაძემ და ამასთან დაკავშირებით დასამახსოვრებელი სატელევიზიო სცენაც გაითამაშა.**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის რიტორიკულობამდე მისული ეს ორსიტყვიანი შეკითხვა გაცილებით უკეთესად ასახავს ჩვენს ეპოქას, ვიდრე მთელი ამ პერიოდის პუბლიცისტიკა, მწერლობა და, თუ გნებავთ, პოლიტიკაც, ერთად აღებული.

ეს ერთი შეკითხვა (პასუხის გარეშეც) მთელი სისავსით გამოხატავს ქვეყნისა და ერის კრიზისულ მდგომარეობას. ეს შეკითხვა ერთგვარი იუმორისტული ელფერითაც არის შემოსილი და, თითქოს, თავისთავშივე ხაზს უსვამს იმას, რომ ამ შეკითხვას, მართალია, ყველა სვამს, მაგრამ მასზე პასუხს არავინ ეძებს, ვინაიდან უკვე ისეთი ვითარება გვაქვს, რომ აქედან ჩვენი გამოსვლის ყველა იმედი გადაწურულია.



მიუხედავად ასეთი საგანგაშო მდგომარეობისა, ცხადია, არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, შრომობენ და ქვეყნის გადარჩენის გზებს ეძებენ.

იმ ვითარების ანალიზმა, თუ რატომ აღმოვჩნდით ამ სავალალო მდგომარეობაში, შესწავლამ იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, რომლებმაც ჩვენს ქვეყანაში ეპოქალური კრიზისი შექმნეს, მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ის კურსი, რომელსაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დავადექით, პრინციპულად და თვისებრივად თუ არ შეიცვალა, სრული კატასტროფა გარდაუვალია. ამ საკითხის მეცნიერული შესწავლისა და სპეციალისტთა ფართო სპექტრთან კვალიფიციური კონსულტაციების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ის პრინციპული და თვისებრივი ცვლილება, რომელიც ქვეყანას კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანს, ქვეყნის ნეიტრალიტეტის გამოცხადებაა.

ამ აუცილებლობის გაცნობიერების შედეგი იყო 2007 წელს ჩვენს მიერ პარტია „ნეიტრალური საქართველოს" დაფუძნება. სამწუხაროდ, ეს აუცილებლობა საქართველოში მაშინ ძალიან ცოტას თუ ესმოდა, როგორც პოლიტიკოსებში, ასევე საზოგადოებაში, მაგრამ სულ მალე, 2008 წლის აგვისტოს ის მოვლენები მოხდა, რასაც ზოგიერთები, უბრალოდ, აგვისტოს მოვლენებს, ზოგიერთები კი, საქართველო-რუსეთს შორის ხუთდღიან ომს უწოდებენ, მაგრამ რომელიც რეალურად საქართველოს დაშლის დასაწყისი იყო. იმ საბედისწერო მოვლენამ საზოგადოება გამოაფხიზლა და დააფიქრა. პეტერბურგში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა ალექსანდრე ებრალიძემ აგვისტოს ომის შემდეგ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი ჩართვის აუცილებლობა გააცნობიერა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების გაერთიანებას შეუდგა. მან დააფუძნა „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი" და საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიაც დაუფარავად განაცხადა. რაც მთავარია, განაცხადა თავის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები: საქართველოს ნეიტრალიტეტი, რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების აღდგენა, ყველა სახელმწიფოსთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა და ევროკავშირის წევრობა. ამ დღიდან თემას, რომელსაც საქართველოს ნეიტრალიტეტი ჰქვია, თითქოს ტაბუ მოეხსნა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სახელისუფლებო მედიასაშუალებანი მას ჯერ კიდევ პრორუსულობის სინონიმად განიხილავენ და ყველანაირად ცდილობენ ამ საკითხის მიმართ საზოგადოებაში უარყოფითი განწყობა შექმნან.

საქართველოს ნეიტრალიტეტის აუცილებლობის შესახებ ღიად ჯერჯერობით მხოლოდ „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი" და პარტია „ნეიტრალური საქართველო" საუბრობენ. მედიასაშუალებათაგან კი ერთადერთი პერიოდული გამოცემა, რომელიც თანამიმდევრულად ეწევა ამ თემის პროპაგანდას, გაზეთი „პროკლამაციაა". იგი წელიწადზე ოდნავ მეტია, რაც რეგულარულად გამოიცემა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში ფუნქციონირებს ორასამდე პოლიტიკური ორგანიზაცია, კიდევ უფრო მეტი საზოგადოებრივი და ე.წ. არასამთავრობო გაერთიანებები, რომლებიც, როგორც წესი, ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ გამოდიან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს ხელისუფლება და მთელი ოპოზიციური სპექტრი შეთანხმებულად და სინქრონულად გამოდიან ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მთელი ქართული მედიასაშუალებანი ასევე ნეიტრალიტეტის წინააღმდეგნი არიან, სავარაუდებელი იყო, რომ ორად ორი ორგანიზაცია და ერთი გაზეთი ამ მიმართულებით საზოგადოებრივ აზრს ვერ შეცვლიდა. დიახ, სავარაუდებელი სწორედ ასე იყო, მაგრამ რეალურად თურმე სხვა, სრულიად საწინააღმდეგო სურათი იკვეთება: სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებში, გაზეთ „24 საათის" 18 მარტის დამატებაში რომ გამოქვეყნდა, ხაზგასმულად წერია, რომ **საქართველოში გამოკითხულ მოქალაქეთა შორის 40,3 პროცენტი საქართველოს ნეიტრალიტეტს უჭერს მხარს**. ეს ქართულ საზოგადოებრივ აზრში სწორედ ის რევოლუციური შემობრუნებაა, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით.

ალბათ, სწორი არ ვიქნები, საზოგადოებრივ აზრში ასეთი რევოლუციური შემობრუნება მთლიანად „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის", პარტია „ნეიტრალური საქართველოსა" და გაზეთ „პროკლამაციის" დამსახურებად რომ გამოვაცხადო. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი თვითონ ის ფაქტია, რომ საზოგადოება თურმე აცნობიერებს იმ ობიექტურ აუცილებლობას, რომლის არდანახვასაც ასე ჯიუტად ცდილობენ საქართველოს ხელისუფლება და მისი ე.წ. ოპოზიცია, მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმის იგნორირება იქნება სწორი, რომ საზოგადოებას იმ რეალობისა და აუცილებლობის გაცნობიერებაში, რასაც საქართველოს ნეიტრალიტეტი ჰქვია, სწორედ „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი", პარტია „ნეიტრალური საქართველო" და გაზეთი „პროკლამაცია" დაეხმარნენ. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესისა" და პარტია „ნეიტრალური საქართველოს" ძალისხმევა, მათ შორის უფრო ღრმა და დროში კარგად გაწერილი თანამშრომლობის შემთხვევაში, გაცილებით უფრო დიდი ეფექტის მომცემი იქნება, ვიდრე დღეს გვაქვს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საზოგადოებრივი აზრიც, როგორც ამას ზემოთ ხსენებული გამოკვლევა ადასტურებს, სწორედ ამ მიმართულებით მწიფდება, მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში, სწორი კოორდინაციის შემთხვევაში ამ ძალების გამარჯვება სავსებით რეალური ჩანს, რაც საქართველოს გადარჩენის გარანტი და წინაპირობა იქნება.

ამიტომ ნაცნობთა თუ უცნობთა მიერ დასმულ შეკითხვას, – გვეშველება რამე? – ახლა უკვე თამამად ვუპასუხებ, – **დიახ, გვეშველება!**

**ვალერი კვარაცხელია,**
პარტია „ნეიტრალური საქართველოს" თავმჯდომარე

◎ ჟურნალისტური გამოძიება

# გზის მშენებლობა „სააკაშვილისებურად"

## როდემდე უნდა შეეწიროს მავანთა ხუშტურებს, დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებსა თუ მიკერძოებას უამრავი თანხა, დრო და უნაყოფო შრომა?

**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე" განაგრძობს შიდა სახელმწიფოებრივი საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის საკითხების შესწავლას (ჟურნალისტურ გამოძიებას). დღეს გთავაზობთ მორიგ მასალას ამ თემაზე.**

გზა, რომლის მშენებლობის მთავარ მომენტებზე დღეს გესაუბრებით, მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე თვის განმავლობაში... ორჯერ გახსნა. და ეს მაშინ, როცა ამ გზის მთლიან მონაკვეთზე არ იყო საგზაო ნიშნები, ბოძკინტები, ბარიერები... თუმცა ასეთ „წვრილმანებს" ვინღა ჩივის, როცა ამ გზაზე ძირითადი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დღემდე არ არის დასრულებული.

„ვაზიანი-გომბორ-თელავის" საავტომობილო გზის მწყობრში შესვლა მაშინ, როცა მისთვის აუცილებელი ნაგებობები დაუმთავრებელ-გაუმაგრებელი იყო, საავტომობილო გზების დარგში მოქმედი ნორმატიული მოთხოვნებით კატეგორიულად დაუშვებელია.

„დამკვეთის" – საავტომობილო გზების დეპარტამენტის – და მისი ზემდგომის – ინფრასტრუქტურების სამინისტროს – შპს „ტრანსპროექტის, მშენებლების – შპს „ალხამრას", შპს „ნიუ ენერჯის", შპს „ნიუ როუდის", შპს „გზამშენის", შპს „მტკვრის" არასწორი გადაწყვეტილებების გამო მივიღეთ საავტომობილო გზა, რომელიც არანაირად არ შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს.

ამის შედეგად ათობით მილიონი ლარი ფაქტობრივად წყალშია გადაყრილი, უსაფრთხო და შეუფერხებელი მიმოსვლის მოთხოვნა კი შეუსრულებელი დარჩა. უფრო მეტიც: სამუშაოთა შესრულებისას ბუნებრივი ფაქტორების გაუთვალისწინებლობის გამო მოსალოდნელია ამ საავტომობილო გზის მდგომარეობის გაუარესება, რის გამოსწორებას კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი ლარი და დრო დასჭირდება.

რამ გამოიწვია ყოველივე ეს? საპროექტო ტენდერში გაიმარჯვა შპს „ტრასპროექტმა". ჩასატარებელი სამუშაოებისთვის მის მიერ წარმოდგენილი თანხა (დასაბუთების გარეშე) მნიშვნელოვნად მეტი აღმოჩნდა „დამკვეთის" მიერ გათვლილ და ბიუჯეტთან შეთანხმებულ სატენდერო პირობებით გათვალისწინებულ თანხაზე. ამის გამო, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, „დამკვეთს" უნდა გაეუქმებინა ამ ტენდერის შედეგები, მაგრამ რა გაუქმება, რისი გაუქმება: **საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად შპს „ტრანსპროექტს" (თავისი მოთხოვნის საფუძველზე) „დამკვეთმა" პროექტის კორექტირებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადახალისებისთვის დამატებით გადაუხადა 200 ათას ლარზე მეტი, რასაც მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს.**

პროექტის გეოლოგიურ ნაწილში გამოყენებულია ადრინდელი (1970 წ.) გეოლოგიური გამოკვლევების მასალები, რომელთა საფუძველზე შპს „ტრანსპროექტს" (საინჟინრო გეოლოგიის და ჰიდროლოგიის სპეციალისტების მეშვეობით) უნდა ჩაეტარებინა გზის დაწვრილებითი დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა, რაც არ გაკეთებულა. ეს კი, საავტომობილო გზების დარგში მოქმედი ნორმატიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყოველმხრივ დაუშვებელია.

თანაც პროექტი არ იყო შეთანხმებული ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან, რის გამოც მასზე არ გაცემულა შესაბამისი ნებართვა.

ამის მიუხედავად, პროექტი განსახილველად მაინც გავიდა „დამკვეთის" ტექსაბჭოზე და ამ უკანასკნელის წევრთა დადებითი შეფასებაც მიიღო , რასაც მშენებლობის ნებართვის გაცემაც მოჰყვა, რაც აგრეთვე კანონსაწინააღმდეგოა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, „დამკვეთს" არანაირი კანონიერი უფლება არ ჰქონდა იმისა, რომ ხსენებული პროექტის საფუძველზე თავისი კონტრაქტორების მეშვეობით, დაეწყო სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ანუ „ვაზიანი-გომბორი-თელავის" შიდა სახელმწიფოებრივი საავტომობილო გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება (აღნიშნული სამუშაოები ამჟამადაც გრძელდება) კანონსაწინააღმდეგოა და პირდაპირ ადასტურებს სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი გამოყენების ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექსაბჭო შედგება დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირებისა და მოწვეული სპეციალისტებისგან, რომლებიც, ამავდროულად, დარგში მომუშავე შპს-ების მფლობელებიც არიან. სხვათა შორის, იმ შპს-ებისა, რომელთა დასაქმება პირდაპირ არის დამოკიდებული საავტომობილო გზების დეპარტამენტის ნებაზე. ამიტომაც ტექსაბჭოს ეს წევრები ხშირად იძულებული ხდებიან, მხარი დაუჭირონ დეპარტამენტისთვის სასურველ არასწორ გადაწყვეტილებას. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. აბა სხვანაირად რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ, თუმცა ტექსაბჭოს ხსენებულმა წევრებმა იცოდნენ, რომ პროექტზე არ იყო გაცემული ეკოლოგიური ნებართვა, მაინც დაუჭირეს მას მხარი. ამით ტექსაბჭოს მოწვეული წევრებიც ამ შემთხვევაში აღნიშნული უკანონო ქმედების თანამონაწილეები გახდნენ.

**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე" ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების დეტალურ დოკუმენტურ ანალიზსა და შედეგებს მომავალში გაცნობებთ.**

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**რომანოზ ტალახაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე"

ამერიკელი „სტუმარი“

# ჰიბრიდული სიმინდი– მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა

**სიმინდის სამშობლო მექსიკაა, ეს კულტურა წარმოიშვა 3 ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. უძველეს ხალხებს სიმინდი მიაჩნდათ მაგიური თვისებების მქონე ღვთიურ მცენარედ. სიმინდი ამერიკის უძველესი მოსახლეობის ცივილიზაციის საფუძველი იყო, როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი მორგანი აღნიშნავს. კაცობრიობის პროგრესში სიმინდმა გაცილებით დიდი როლი შეასრულა, ვიდრე ერთად აღებულმა თავთავიანმა კულტურებმა.**

სიმინდი ევროპაში, კერძოდ, ესპანეთში XV საუკუნის დამლევს შეიტანეს. სიმინდი საქართველოში, როგორც ცნობილი მეცნიერი ლეონარდ დეკაპრელევიჩი აღნიშნავს, ესპანეთიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში შემოიტანეს და აქედან გავრცელდა უკრაინასა და რუსეთში.

სიმინდის კულტურის ჯიშების ჰიბრიდული სიმინდით შეცვლის იდეა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაისახა. ამ ქვეყანამვე დაუდო საფუძველი ახალი კულტურის – ჰიბრიდული სიმინდის ფართოდ წარმოებას და სიმინდის მოსავლიანობის 50-80%-ით გადიდებას, აგრეთვე სხვა მარცვლეულ კულტურებთან (ხორბალი, ქერი, ჭვავი, ტრიტიკალე, ბრინჯი), შვრია) შედარებით, მაღალპროდუქტიულ მცენარედ შექმნას.

სიმინდის მცენარის წარმოშობა დაკავშირებულია ბუნებრივ ჰიბრიდიზაციასთან და მუტაციურ მოვლენებთან, ხოლო ეს მცენარე კულტურად ჩამოყალიბდა ბუნებრივი გადარჩევით და ხალხური სელექციით. ამიტომ კაცობრიობა სიმინდის კულტურად ქცევას ხალხურ სელექციას უნდა უმადლოდეს. ჰიბრიდული სიმინდის მიღება დაკავშირებულია ხელოვნურ ჰიბრიდიზაციასთან და მეცნიერულ სელექციასთან. მსოფლიო მეცნიერება და, საერთოდ, კაცობრიობა ჰიბრიდული სიმინდის ხელოვნურად მიღებას, მის ახალ კულტურად აღიარებას და მის სათესლე მასალად გამოყენების შესაძლებლობას უნდა უმადლოდეს ამერიკის შეერთებული შტატების სიმინდის გენეტიკოსებსა და სელექციონერებს და შემდგომში სხვა ქვეყნებში მომუშავე გენეტიკოსებს და სელექციონერებს, კერძოდ საქართველოში მსოფლიო დონის მეცნიერის პროფესორ ლეონარდ დეკაპრელევიჩს და მისი სკოლის სელექციონერებს.

ჰიბრიდულმა სიმინდმა, როგორც მაღალმოსავლიანმა, სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო და გამოყენებით მრავალფეროვანმა კულტურამ ხორბლისა და ბრინჯის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო მიწათმოქმედებაში. იგი უნივერსალური სასურსათო საკვები, მრეწველობის სხვადასხვა დარგის ნედლეული და სამკურნალო მცენარეა. ამის გამო მკვეთრად გაიზარდა მასზე მოთხოვნილება. თუ გასული საუკუნის პირველ ნახევარში სიმინდისაგან 165 დასახელების პროდუქტი მზადდებოდა, იმავე საუკუნის 75-80-იან წლებში სიმინდისაგან წარმოებულ პროდუქტთა რიცხვმა 500-ზე მეტ დასახელებას გადააჭარბა. ჰიბრიდული სიმინდიდან ახალ-ახალი სახის პროდუქტის ჩამონათვალი ყოველწლიურად მატულობს.

ჰიბრიდული სიმინდი, აგრონომიული თვალსაზრისით, „მორჩილი“, პლასტიური და კარგი „მასპინძელი“ კულტურაა, ამავე დროს არ არის „წუნია“ მცენარე. კარგი წინამორბედი კულტურაა, ე.ი. ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის და აგრეთვე თავისთვისაც ძვირფასი წინამორბედია. იგი, როგორც სათოხნი კულტურა, კარგად „ებრძვის“ სარეველა მცენარეებს და შემდგომი კულტურისათვის ნიადაგის ზედაპირს ასუფთავებს სარეველა მცენარეებისაგან. ამავე დროს სიმინდი ნიადაგში ტოვებს დიდი მასის ფესვთა სისტემას და ღეროს ანარჩენებს, რომელთა მინერალიზაციით მიიღება მნიშვნელოვანი რაოდენობით მცენარისათვის შესათვისებელი საკვები ნივთიერებები. ამით, სიმინდი არაპირდაპირ „მასპინძლობს“ და „მონაწილეობს“ მომდევნო კულტურის მოსავლიანობის გადიდებაში. ამითაც უნდა აიხსნას მისი „მონოკულტურობის“ კარგი უნარი მიწათმოქმედების სისტემაში, ე.ი. სიმინდის ერთსა და იმავე ნაკვეთზე ზედიზედ თესვით კარგი მოსავლის მიღების შესაძლებლობა (ამის კლასიკური მაგალითია დასავლეთ საქართველო და ზოგიერთი სხვა ქვეყანა), თუმცა უმჯობესია კულტურათა მორიგეობა. ჰიბრიდული სიმინდი პლასტიური კულტურაა, არ არის „წუნია“ კარგად ეგუება და ხარობს თითქმის ყველა ტიპის, ქიმიური შედგენილობის და სტრუქტურის ნიადაგურ პირობებში. კარგად რეაგირებს მოვლა-მოყვანის მაღალ აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს, ადამიანის შესაბამის შრომას უპასუხებს უფრო მეტი რაოდენობით მარცვლისა და ჩალის მიღებით. მიჩნეულია, რომ სიმინდს ასეთი შესაძლებლობები უფრო მეტი აქვს და დღეს მისი შესაძლებლობების 60 პროცენტიც არ არის გამოყენებული.

ჰიბრიდული სიმინდი, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით გამოირჩევა მაღალი ფოტოსინთეზური აქტივობით და ითვლება ფოტოსინთეზის პროცესში მზის სხივური ენერგიის კარგ გამომყენებელ მცენარედ.



ჰიბრიდული სიმინდი ისეთი მცენარეა, რომლის ყველა ნაწილი: მარცვალი, ღერო, ფოთოლი, ტაროს ნაქუჩი, ფუჩეჩი, „ულვაშები“ და აგრეთვე გადამუშავებიდან დარჩენილი პროდუქტები (ქატო, ბურღული, კოპტონი, ალაო და სხვა) გამოყენებულია. ამის გამო სიმინდი მიჩნეულია ეგრეთ წოდებულ „უნარჩენო კულტურად“.

ჰიბრიდული სიმინდი ძვირფასი ქიმიური ნივთიერებების საუკეთესო ბუნებრივი ბიოლოგიური „აკუმულატორია“. მისი მარცვლის ქიმიური შემადგენლობის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს: სახამებელი (72%), პროტეინი (10-12%), ზეთი (4,4%), ცელულოზა (25%), შაქარი (1-3%), ნაცარი (12%). ყვითელმარცვლიანი სიმინდი ერთ-ერთი კულტურაა, რომლის 100 გრამ მარცვალში 3,2-9,0 მილიგრამი კაროტინია, რომელიც წარმოადგენს „A“ ვიტამინის წყაროს.

ჰიბრიდული სიმინდის 1 ტონა მარცვალი იძლევა: 650 კგ სახამებელს, 90 კგ პროტეინს, 70 კგ ცელულოზას, 40 კგ. ზეთს, 30 კგ სხვადასხვა ნივთიერებას და 120 კგ. წყალს ერთ ჰექტარზე საშუალოდ შეიძლება მივიღოთ: 2,0 ტონა სახამებელი, 0,3 ტონა პროტეინი, 0,23 ტონა ცელულოზა, 0,12 ტონა ზეთი და საკმაო რაოდენობით სხვა ძვირად ღირებული არაორგანული ქიმიური ნივთიერებები.

ჰიბრიდული სიმინდი მრავალმხრივი გამოყენების კულტურაა და წარმოადგენს: ადამიანის სასურსათო პროდუქტს – უპირველეს ყოვლისა ფქვილი და ღერღილი (სიმინდის მჭადის, ღომის, ბატიბუტის და სხვა საჭმელების დასამზადებლად), მისი ფქვილი გამოიყენება ხორბლის და ჭვავის ფქვილში შესარევად სხვადასხვა სახის ნამცხვრების დასამზადებლად, რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფის ტაროს და აგრეთვე მომწიფებული მარცვლის მოხარშული ან შემწვარი სახით გამოსაყენებლად, კონსერვების დასამზადებლად და სხვა.

ჰიბრიდული სიმინდი ცხოველთა კვების რაციონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურაა, რომლის გამოყენება ხდება მარცვლის რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში სილოსის სახით, მწვანე მასის და ჩალის სახით, ჩალის და ნაქუჩის დაღერღილი ან ფქვილის სახით, სიმინდის გადამუშავების შედეგად მიღებული ანარჩენი მასალის დასილოსებული მასის სახით, ქატოს, კოპტონის და სხვათა სახით. საკვები კონცენტრატების თანამედროვე ტექნოლოგიაში ჩნდება ახალ-ახალი შესაძლებლობები ჰიბრიდული სიმინდის საკვებად გამოსაყენებლად.

ჰიბრიდული სიმინდი მნიშვნელოვანი კულტურაა მრეწველობისთვის. ფქვილის, ლუდის, სპირტიანი სასმელების, ზეთის, ქაღალდის, ფეთქებადი ნივთიერებების, სამშენებლო მასალების, საპონის, წებოს და სხვა მრავალი პროდუქტს გარდა, იზრდება მასზე მოთხოვნილება ისეთ დარგებშიც, როგორიცაა ფარმაცევტული, საფეიქრო და ცელულოზის წარმოებებში.

ჰიბრიდულმა სიმინდმა, ფართო და მრავალმხრივი გამოყენების გამო, მსოფლიო ბაზარზე დაიმკვიდრა წამყვანი და მნიშვნელოვანი ადგილი და იქცა სტრატეგიული პროდუქტების მომცემ კულტურად, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე ხშირ შემთხვევაში ნავთობის და შეიარაღების წინ დგას.

აღნიშნულიდან ნათელია, რომ ჰიბრიდული სიმინდი ეფექტიანი და მრავალმხრივ გამოსაყენებელი კულტურაა და მის წარმოებაზე დაბანდებული კაპიტალი მკვეთრად დიდ მოგებას იძლევა.

ამრიგად, ჰიბრიდული სიმინდის ნათესების გადიდება უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად. ამავე დროს ჩვენს ქვეყანაში მოსავლიანობის გადიდების ძირითად საშუალებად უნდა იქცეს ამ კულტურის მაღალმოსავლიანი ჰიბრიდული სიმინდის ნათესების გაფართოება. გარდა ამისა, სიმინდის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები უნდა გამოვიყენოთ უფრო ფართოდ და მაღალხარისხოვნად, რათა ჰიბრიდული სიმინდის მოსავლიანობის პოტენციური შესაძლებლობის გამოყენების ზღვარი გასცდეს 60%-ს და მიუახლოვდეს 100%-ს. მეცნიერულმა კვლევებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ სიმინდის კულტურის მარცვლის მოსავლიანობის ასეთ ნიშნულამდე მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი, უფრო მეტად მაღალი მოსავლიანობის პოტენციური შესაძლებლობის მქონე ჰიბრიდული სიმინდის თესლის თესვით. ამ იდეას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში და საკუთარი წარმოების ჰიბრიდები 60-70-იან წლებში საკმაოდ ფართოდ ითესებოდა.

საქართველოში ჰიბრიდული სიმინდის სათესლე მასალის შემოტანა და მისი მასობრივად თესვა ახალი მოვლენა არ არის. იგი დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში გასული საუკუნის 80-იან წლებში. საქართველოში სხვადასხვა დროს შემოტანილი სხვა ქვეყნებში (აშშ, იუგოსლავია, საფრანგეთი, რუსეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, იტალია და სხვა) შექმნილი ჰიბრიდული სიმინდის სხვადასხვა ტიპის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ყოფილი სელექციური მიღწევების სახელმწიფო გამოცდის 40-ზე მეტ სადგურში შესწავლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ნიშან-თვისებათა კომპლექსური მაჩვენებლებით უპირატესობას ავლენენ ამერიკის შეერთებული შტატების კომპანია „პიონერის“ მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდები.

საქართველოში უკანასკნელ წლებში კომპანია „პიონერის“ სიმინდის მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდების, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში შესწავლის შედეგების მიხედვით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ამ სამინისტროს სააქციო საზოგადოება, სოფლის მეურნეობის კორპორაციამ მიმდინარე წლიდან დაიწყო აღნიშნული კომპანიის 4 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდის ფართო მასშტაბით თესვა-მოყვანის პროგრამის განხორციელება როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

საქართველოში სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა არის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივა, რომლის მიზანია სიმინდის მოსავლიანობის დონისა და ხარისხის ზრდა.

კომპანია „პიონერი“, რომელიც დღევანდელი მონაცემებით მსოფლიოს ჰიბრიდული სათესლე სიმინდის 30%-ს ფლობს და ამ დარგში მსოფლიოს წამყვან ბრენდად ითვლება, 1926 წელს დაარსდა. მისი დამფუძნებელი იყო ჰენრი უოლესი, ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი სოფლის მეურნეობის მინისტრი და შემდგომში ვიცე-პრეზიდენტი.

საქართველოში შემოტანილი ჰიბრიდები არ არის გენმოდიფიცირებული, მიღებულია სელექციის კლასიკურ-ტრადიციული მეთოდების გამოყენებით და წარმოადგენენ მარტივ ხაზთაშორის ჰიბრიდებს და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციას იძლევა.

საქართველოში შემოტანილ კომპანია „პიონერის“ ჰიბრიდებს მაღალმოსავლიანობის და ჩვენს პირობებში სტაბილური მოსავლიანობის პარალელურად, ახასიათებთ შემდეგი ძლიერი უპირატესობები: მცენარეზე ფოთლების აზიდული განწყობა, მარცვლის სრული სიმწიფის შემდეგ მწვანე ფერის შენარჩუნება, ძლიერი ფესვთა სისტემის განვითარება, გვალვაამტანობა, ჩაწოლისა და დაავადებისადმი გამძლეობა, ადაპტაციის კარგი უნარიანობა, სტაბილური მოსავლიანობა, მომწიფებულ მარცვლიდან ტენის სწრაფი დაკარგვის უნარი, მარცვლის მაღალი ხარისხი და შედარებით ადრეულობა, რომელთა სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა ჰიბრიდების მიხედვით შეადგენს 90-130 დღეს. კარგად იტანენ მცენარეთა დგომის სიხშირეს. თითოეული მცენარე ხშირ ნათესში, საშუალოდ ინვითარებს კარგად განვითარებულ ერთ ტაროს, ჩვენს პირობებში იძლევა ჰექტარზე 10-16 ტონა მარცვლის მოსავალს.

კომპანია „პიონერის“ ჰიბრიდების თესვის ნორმად რეკომენდებულია 60-65 ათასი აღმოცენების უნარიანი, მარცვლის თესვა 1 ჰექტარზე მცენარეთა კვების არე რიგებს შორის 70 სმ, რიგში მცენარეთაშორის 18 სმ (70X18).

ვთვლი, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივა და პრაქტიკული განხორციელება – ხორბლისა და ჰიბრიდული სიმინდის მოსავლიანობის და ხარისხის ზრდის პროგრამა, საფუძვლად დაედება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობას და განვითარებას. ამიტომ მე, როგორც ამ კულტურების სპეციალისტი, ვიწონებ და მოვუწოდებ ყველას, მხარი დაუჭიროთ სამინისტროს მიერ ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად დაწყებული პროგრამის წარმატებით შესრულებას.

**პეტრე ნასყიდაშვილი,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

# სავსე ქართული პატიოსნებით...

**ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დარბაზში გაიმართა ქართული ჟურნალისტიკისმცოდნეობის პატრიარქის, ბატონი ნოდარ ტაბიძის 80 წლის აღსანიშნავი საღამო**.

მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარემ **ლია ნადარეიშვილმა** ხაზი გაუსვა ნოდარ ტაბიძის ღვაწლსა და დამსახურებას ჟურნალისტიკაშიც და მწერლობაში. იგი წლების განმავლობაში თანამშრომლობს ილია ჭავჭავაძის მწიგნობართა ასოციაციასთან, მისი გამგეობის წევრია, 2003 წლიდან ასოციაციის წელიწდეული ალმანახის „მწიგნობრის“ მთავარი რედაქტორია.

ცნობილმა მსახიობმა **თინათინ ელბაქიძემ** ჩვეული ოსტატობით წაიკითხა ნოდარ ტაბიძისადმი მიძღვნილი წერილებიდან ამონარიდებით შექმნილი სცენარი, რომლის ავტორია ნოდარ ტაბიძის ერთ-ერთი შეგირდი, ცნობილი ჟურნალისტი იოსებ ჭუმბურიძე. ამ შთამბეჭდავი საღამოს ორგანიზატორი და წამყვანი სწორედ ის იყო.

საღამოზე აღინიშნა, რომ შეიძლება იყო დიდი მეცნიერი, გამოჩენილი პუბლიცისტი, ლექტორი, მაგრამ ვერ იქცე მოძღვრად. ნოდარ ტაბიძე თაობებისთვის ჭეშმარიტი მოძღვარია. იგი საბჭოური რუტინის პირობებშიც კი, როცა თავისუფლების სიო არსაიდან ქროდა, რეფორმატორი იყო.

მაშინაც კი არ ღალატობდა სიმართლის პრინციპს და არაორდინარული და მართებული მოსაზრებებით გამოირჩეოდა.

**როსტომ ჩხეიძის** აზრით, ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, რომ ჩვენი ვალდებულებაა ნამდვილი სულიერი ღირებულება მივაწვდინოთ ყველას, როგორც შევძლებთ – დარბაზში, ქუჩაში თუ გზაჯვარედინზე...ამ სცენარის ღირსება სწორედ ესაა – ღირსეული კაცის პორტრეტია წარმოდგენილი. ეს არის კაცი, ვის შეჰფერის კაცსა კაცობა...

**ჯანსუღ ჩარკვიანი**: გაუმარჯოს დახვეწილ პიროვნებას – ნოდარ ტაბიძეს, ვინც იცის ჩვენი მწერლობისა და სიყვარულის ფასი!... სამწუხაროდ, სიძულვილის ქვეყანაში ვცხოვრობთ, სიძულვილით კი ქვეყანა არ აშენებულა, რამეთუ ღმერთი სიყვარულია. მიხარია, რომ ამ დარბაზში შეკრებილ ადამიანებს ნოდარ ტაბიძე ასე ექვირფასებათ.

**ნათელა არველაძე**: ბატონი ნოდარის დამოკიდებულება შეგირდებისადმი მაგონებს სიმღერას: „ვაზო შვილივით ნაზარდო...“ ქართველი გლეხკაცის ვაზისადმი დამოკიდებულებას ჰგავს, ვაზის ძირთან 40-ჯერ რომ ჩაიმუხლებს და მოფერებით ზრდის...

**გიორგი გოგოლაშვილი**: შეუძლებელია დაიწეროს უნივერსიტეტის საუკუნოვანი ისტორია ნოდარ ტაბიძის გარეშე. დღევანდელმა უნივერსიტეტმა ნოდარ ტაბიძის ფასი არ იცის. არ ვარ დარწმუნებული, რომ ნოდარ ტაბიძის



გალაქტიონი (ბოლო ფოტო) და ნოდარი

ავტორობით გამოცემულ ახალ წიგნს „პუბლიცისტიკის საფუძვლები“ უნივერსიტეტი სახელმძღვანელოდ გამოიყენებს.

– ჩემთვის ნოდარ ტაბიძე ცოცხალი ლეგენდაა, მოციქულის მსგავსი, საქართველოს კოლორიტი, – აღნიშნა ცნობილმა მხატვარმა **რეზო ადამიამ** და მთავარანგელოზის ხატი უსახსოვრა.

**მაკა ჯოხაძის** თქმით, ნოდარ ტაბიძეს ღირებულებებისადმი და სიტყვისადმი დიდი ერთგულება გამოარჩევს.

„სიმონ კვირინელივით ედექით გალაკტიონს. ეს იყო გოლგოთა, რომელიც საჩუქრად მოგცათ უფალმა, რათა ეს საჩუქარი ღირსეულად გეზიდათ.“

სიტყვები წარმოთქვეს რევაზ სირაძემ, ვახტანგ ჯავახაძემ, დალი ოსეფაიშვილმა, გვანჯი მანიამ, ემირ ბურჯანაძემ, ნატო კორსანტიამ, მაყვალა გონაშვილმა...

თავად **ბატონმა ნოდარმა** კი ბრძანა: „ამ დარბაზში ურთიერთის პატრიოტები და ნამდვილი მეგობრები შევიკრიბეთ. არც პარტიას დაუვალებია, არც ხელისუფლებას. შევიკრიბეთ მხოლოდ დიდი სიყვარულით, ამიტომ ბედნიერი ვარ.“

მე კი, ჩემდათავად, დავძენდი – ამ დროში, როცა ავტორიტეტი თითქმის აღარ დარჩა, და ტოტალური გაუდაბურების მომსწრენი ვართ, ახალგაზრდებს კი თანდათან უქრებათ სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი, ძალიან ცოტა, თითზე ჩამოსათვლელი დარჩნენ ნოდარ ტაბიძის მსგავსი პიროვნებები. მან სუფთა ქართული პატიოსნებით იღვაწა და იღვწის ჟურნალისტთა ახალი თაობების აღსაზრდელად. საგზლად კი სიყვარულისა და თავგანწირვის უნარს ატანს, რომ ბოლომდე შერჩეთ ლამაზი და მდიდარი სულიერი სამყარო.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

**P. S. 21 მარტს, ქართული ჟურნალისტიკის დღეს, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში, ყველა თაობის კალმოსანთა სახელით, ბატონ ნოდარ ტაბიძეს დაბადების დღე მიულოცა და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა კავშირის თავმჯდომარემ ჰამლეტ გეგიამ.**

**ნოდარ ტაბიძის საიუბილეო დღეები საქართველოს უნივერსიტეტებში გაგრძელდება.**

# მცირფასი განძი

ლამის შევაბერდით „წვრილ-წვრილი“ შეგირდები ქართული ჟურნალისტიკის მაესტროს, მაგრამ მაინც გვერიდება ტაბიძეთა გვარის უღირსეულეს გამგრძელებელზე წერა.

გვერიდება, რადგანაც:

მისი სიმაღლე „გვაშინებს“;

განუმეორებელი პიროვნული ხიბლი „გვაშინებს“;

თბილი ირონია და ცინიზმი „გვაშინებს“;

ძლიერ მხრებზე შეგდებული ქართული ჟურნალისტიკის განვითარების უმძიმესი წლების გახსენება „გვაშინებს“;




გალაქტიონოლოგიის მესაძირკვლის, „შემზარავად გენიალური“ მეფე-პოეტის ფენომენთან ძისწულის ასე ღირსეულად შეჭიდების გაბედულება „გვაშინებს“...

და მაინც – დღევანდელ საქართველოში არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ამდენი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავდეს;

ამდენი ფიცვერცხლნაჭამი, წლების განმავლობაში ქართულ ციხე-ტაძრებთან პეშვით ღვინის შემსმელი, დიდგულა და გულწრფელი სტუდენტი-მეგობარი ჰყავდეს;

სწორედ ამ სტუდენტებმა დაწერეს ნოდარ ტაბიძის ცხოვრების წიგნი, დაწერეს „ნაფეხურების“ სამტომეული, დაწერეს იმის ღრმა შეგნებით, რომ ჭეშმარიტი მოღვაწის ბიოგრაფია ერის და თანამოქალაქეთა ცხოვრებაში იმისგან გავლებული კვალია და არა თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვან თარიღთა ჯამი.

ამ ბოლო წინადადების დედააზრი ცნობილი ჟურნალისტის გიგლა გობეჩიას ნააზრევია და კარგად გამოხატავს ასობით და ათასობით ნოდარ ტაბიძის მეგობრის, ანუ „ნოდარმცოდნის“ გულისთქმას.

ერის ცხოვრებაში ნოდარ ტაბიძის მიერ გავლებულ კვალს ეძღვნება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ცნობილი მკვლევრისა და პედაგოგის თემურ ჯაგოდნიშვილის სამასგვერდიანი წიგნი – „თაობათა მოძღვარი“, რომელიც ამ დღეებში (მეორე შევსებული გამოცემაძ მიიღო მკითხველმა.

ამთავითვე დიდი სიამოვნებით ვიტყვი: ეს წიგნი არის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებული და მილიონობით მკითხველისთვის, მათ შორის ქართველისთვისაც, სამაგიდო წიგნებად ქცეული სერიის – „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების“ გაგრძელება.

როგორც ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონოლოგია“, სხვა შედევრები, ცალკეული ესეები და გამოკვლევები არის გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, ნოდარის უძვირფასესი მამის პროკლე ტაბიძის სიცოცხლისა და შემოქმედების გაგრძელება, ზუსტად ასეა თემურ ჯაგოდნიშვილის წიგნი – დღეს თუ არა ხვალ, ამ ტომს უთუოდ აღიარებენ გამოჩენილ ადამიანთა ქართული სერიის შენაძენად.

პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი სხარტი, ლამაზი, ბედაური ქართულით გვიყვება ნოდარ ტაბიძის ცხოვრების გზას, აანალიზებს იმის მეცნიერულ, ენობრივ სამყაროს, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის და თეორიის კვლევაში შეტანილ უზარმაზარ წვლილს.

გამორჩეული ადგილი ეთმობა იმ ფენომენის დამაჯერებელ ანალიზს, რომ ნოდარ ტაბიძე არის ქართული პედაგოგიური ჟურნალისტიკის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, უზადო რედაქტორ-გამომცემელი, ლიტერატურათმცოდნე...

ბუნებრივია, წიგნში ცალკე თავი ეძღვნება ნ. ტაბიძის გალაკტიონოლოგიას.

მკითხველს უთუოდ მოეწონება ნოდარ ტაბიძის „მამის ხსოვნის წიგნი“, „ფიქრია ზანდუკელის ხსოვნის წიგნი“, „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის გახსენება“.

კრებულს დოკუმენტურობას, დამაჯერებლობას, უშუალობას მატებს „დამატება“ – პროფესორ ნ. ტაბიძის აუდიო და ვიდეომასალის შემცველი CD დისკი.

ეს წიგნი არა მხოლოდ ჟურნალისტებმა (მომავალმა ჟურნალისტებმაძ, ტაბიძეთა ღირსეული გვარის წარმომადგენელთა შემოქმედების თაყვანისმცემლებმა, არამედ თითოეულმა ქართველმა უნდა წაიკითხოს!

წიგნი, მით უფრო კარგი წიგნი, მაინც ძვირფასი განძია და მას, ჩემი ღრმა რწმენით, მკითხველი კომპიუტერის ეპოქაშიც არ მოაკლდება.

**სპარტაკ ქობულია**

იოსებ ჭუმბურიძე: პორტრეტი ფრაგმენტებით

# ბრინჯაოს მოძღვარი

აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის ოჯახში დიდი ლხინია. თვითონ მასპინძელი თამადობს. ჯერი ნოდარ ტაბიძის სადღეგრძელოზე მიდგა. ენამზეობს თამადა, ხაზგასმით ჩამოთვლის მის ღირსებებს. ალავერდს ოთარ ტაბიძესთან გადადის (ფსიქოლოგიის დოქტორთან, სახელოვან სწავლულთან).

ბატონი ოთარი ამბობს:

ტაბიძეებში ოქროს მედალი გალაკტიონს ეკუთვნის, ვერცხლისა – ტიციანს, ბრინჯაოსი შენთვის დამითმია, ნოდარ!

### თამაზ ნივნივაძე:

ჩემი და ჩემზე უმცროსი თაობის სტუდენტებს მთელი ხუთი წლის მაძილზე ერთადერთი მუდმივმოქმედი ლიტერატურული ტრანსპარანტი გაგვაჩნდა: „აგვიყოლია სიყვარულმა ნოდარ ტაბიძის“.

ჩემი ხელით საგანგებოდ პერიფრაზირებულ სტრიქონს კიდევ ერთი პოეტური ფრაზაც მოსდევდა, მაგრამ ახლა ის ისევე არ მახსენდება, როგორც ნოდარ ტაბიძის გარეშე გატარებული სტუდენტობისდროინდელი დანარჩენი შაბათ-კვირები.

დაქირავებულ ავტობუსს ამ ჩვენს სტუდენტურ ტრანსპარანტს ავაკრავდით და ჰერი-ჰერი – ხან შატილისკენ, ხან რკონისკენ, ხანაც კიდევ ნეკრესისკენ!

იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრები გაცილებით აჭარბებდა დღევანდელს, არ დაგვრჩენია მშობლიური მიწის ერთი გოჯიც კი, იქ რომ ფეხი არ დაგვედგა.

### ლევან ბრეგაძე:

გამოჩენილი ადამიანების შესახებ დაწერილი წიგნების მნიშვნელობა მკითხველის სულიერი ფორმირებისთვის განუზომელია. შტეფან ცვაიგის „ბალზაკი“, ანდრე მორუას „სამი დიუმა“, გერვი ალენის „ედგარ პო“ და ამ არაჩვეულებრივი ჟანრის – ბიოგრაფიული რომანის სხვა არაერთი საქვეყნოდ ცნობილი თხზულება იმ საგანძურს შეადგენს, რომელთან ზიარება შინაგანად გვამდიდრებს, გვაძლიერებს და სამოქმედოდ აღგვძრავს. ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონიც“ ასეთი წიგნია.

### რევაზ სირაძე:

ბევრი კარგი რამ დაწერილა და ბევრიც კვლავ დაიწერება გალაკტიონზე, მაგრამ იშვიათად თუ ითქმის: უამწიგნოდ გალაკტიონის პოეზიის ჯეროვანი გააზრება შეუძლებელიაო. სწორედ ასეთია ნოდარ ტაბიძის წიგნი.

### ვახტანგ ჯავახაძე:

შენ ხარ ერთადერთი თანამგზავრი გალაკტიონის უკანასკნელი წლებისა და დღეებისა, უკანასკნელი საათებისა, კიდევ მრავალ საინტერესო საიდუმლოს ინახავ უცნაური უცნობის ყოველდღიური ყოფისას და უფლებაც არ გაქვს, ეს განძი ერს დაუმალო.

როგორც კი ამ სტრიქონებს წაიკითხავ, გაათავისუფლე შენი სამუშაო მაგიდა, გვერდზე გადადე ყველა სხვა ჩანაფიქრი (სხვებს სხვებიც მოუვლიან) და – მხოლოდ გალაკტიონთან, გალაკტიონის ირგვლივ, გალაკტიონის გამო, მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონზე...

– ბიჭო, კიდევ გაჩერებული ხარ? ჩქარა!

გეცნო, ალბათ, ჩემო ნოდარ, ეს შენი ძვირფასი მამის სიტყვებია, ძმას რომ აქეზებდა.

შენც ძმასავით გამიგე და დამიჯერე!

### იოსებ ჭუმბურიძე:

ლექტორი ბევრია, მოძღვარი – ცოტა. ნოდარ ტაბიძე მოძღვარია.

სულხან-საბას მიხედვით, მოძღვარი იგივე ოსტატია.

ბატონი ნოდარი ოსტატია, ვინც ძალდაუტანებლად წვრთნის შეგირდის კალამსა და გონებას.

### მაკა ჯოხაძე:

ინტიმი კვდება სამყაროში, რაც იმას ნიშნავს, რომ ინტიმი კვდება შემოქმედებაში, ინტიმი კვდება ლექსშიც. როცა ინტიმი კვდება ქალსა და კაცს შორის, ბუნებასა და ადამიანს შორის, მეზობლებსა და თანამოქალაქეებს შორის, ეს იმას ნიშნავს, რომ ლოკალური ინტიმების ხარჯზე კვდება უფრო გლობალური, უფრო დიადი ინტიმი, ინტიმი კაცსა და სამშობლოს შორის...

მე მინდა, დიდხანს იცოცხლოს ნოდარ ტაბიძისნაირმა კაცებმა. მე მინდა, დიდხანს იდგნენ ისინი ამ ინტიმის სადარაჯოზე. მე მინდა, რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა გაიაროს მათს ხელში, მეტი სტუდენტის გულისყური მიიქციოს მარადიულმა, უცვლელმა ღირებულებებმა. ეს კი ასე საჭიროა დღეს, ამ ტოტალური უკულმართობის ხანაში, როცა დაიწყო ტოტალური გაუცხოება და გაუდაბნოება სულისა და მოგვიახლოვდა დიდი სიცარიელე.

...ჩვენ კი, რაც გინდა ვუთხრათ ბატონ ნოდარს დღეს, როგორც გინდა მივეფეროთ, მისი გარჯისა და ღვაწლისათვის, საკუთარ იუბილეს ყველაზე უკეთ და ყველაზე მდიდრულად თავადვე შეეგება ბრწყინვალე წიგნით. ამ არეულობისა და ჟამიანობის ეპოქაში კიდევ ერთი ბრწყინვალე საჩუქარი გვისახსოვრა: მუქიისფერ ყდაზე ვარსკვლავივით ანათებს ერთადერთი სიტყვა – ოქროსფერი „გალაკტიონი“.

**წელგამართული მეტად,**
**ხართ მადლიერი ხვედრის...**
**გალაკტიონთან ერთად**
**და ტიციანის გვერდით...**

## სენი, რომელიც უნდა დამარცხდეს!

# დიდი შრომის შედეგი

**სახელმძღვანელო, რომლის მსგავსი ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს სამედიცინო საგანმანათლებლო სივრცეში**



**ქართულ სამედიცინო ბიბლიოთეკას შეემატა კიდევ ერთი მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი „ონკოლოგია“. მისი ავტორები არიან მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ონკოლოგები და პედაგოგები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორები რემა ღვამიჩავა და მიხეილ შავდია.**

ნაშრომში სათანადო დონეზეა წარმოდგენილი თეორიული და პრაქტიკული ონკოლოგიის სადღეისო სამეცნიერო მიღწევები. აქ მდიდარ ლიტერატურულ და კლინიკურ მასალაზე დაფუძნებით განხილულია ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნის თეორიები, სტატისტიკა, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, პაციენტთათვის დიაგნოზის მიწოდების ტექნოლოგია, ავთვისებიან სიმსივნეთა განვითარების რისკ-ფაქტორები, პრევენციის სახეები, სიცოცხლის ვადების განსაზღვრის კრიტერიუმები, ონკოდაავადებათა სტადირება, TNM სისტემის განახლებული ვერსია (2009 წლის), ონკოდიაგნოზის ფორმირების წესი, პროგნოზული ფაქტორების გათვლა, ონკოპაციენტთა კვლევის, დიაგნოსტიკის, კლინიკური მიმდინარეობის, რადიკალური და სიმპტომური მკურნალობის თავისებურებანი, მოსალოდნელი შედეგებისა და მონიტორინგის პრობლემები.

წიგნში პირველად ვხვდებით ისეთ თავებს, როგორიცაა: ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტები, ფსიქოლოგიური ფაქტორები, ტკივილის მართვა, ურგენტული ონკოლოგია, პარანეოპლაზიური პროცესები, პალიატიური მზრუნველობა და ა.შ.

რ.ღვამიჩავასა და მ.შავდიას სამეცნიერო ნაშრომში „ონკოლოგია“ საკმაო სიზუსტითაა გადმოცემული ონკოლოგიის ისტორიის განვითარების ძირითადი ეტაპები და მნიშვნელოვანი მოვლენები. ერთიანობაშია დანახული მედიცინის ამ მეტად საინტერესო და აქტუალური სფეროს გუშინდელი დღე და განვითარების ისტორიულად განპირობებული პერსპექტივები, რაც მეცნიერთათვის და ჯანდაცვის პოლიტიკოსებისთვის საყურადღებო და ანგარიშგასაწევი უნდა იყოს.

ავტორები საქართველოში ერთერთი პირველები რთავენ ასეთი დანიშნულების წიგნის ქსოვილში ეთიკურ-სამართლებრივ და ორგანიზაციულ საკითხებს, რაც უაღრესად სასიხარულო, მისასალმებელია და წიგნის მნიშვნელობასაც ერთიორად ზრდის. ასეთი მიდგომა სპეციალობის გლობალური აღქმის საშუალებას იძლევა, სრულყოფილად წარმოაჩენს არსებული პრობლემატიკის სიღრმესა და მოცულობას.

„ონკოლოგიაში“ ბიოეთიკურ პრობლემებზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. პაციენტის ავტონომიის, „არ ავნოს“, სამართლიანობის, კონფიდენციალობის, სიმართლის თქმისა და სხვა პრინციპებისა და წესების დაცვის თემა, მათი ურთიერთმიმართების, პრიმატის საკითხები სრულადაა გამოკვეთილი. ავტორები ცდილობენ, მეტ-ნაკლებად მთლიანად მოიცვან საპრობლემო არეალი, თუმცა ამის გაკეთება ერთი და ისიც ასეთი კომპლექსური სტრუქტურის მონოგრაფიაში შეუძლებელია. ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჯეროვანი მონდომებით უდგებიან ამ კონკრეტულ სფეროსაც.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს საეტაპო მნიშვნელობის წიგნი კიდევ არაერთხელ დაისტამბება.

„ონკოლოგია“ უპირველესად მაინც სახელმძღვანელოა და ეს შესანიშნავად აქვთ გააზრებული თვით ავტორებს. თითოეულ თავს თან ერთვის სწორად დასმული შეკითხვები, რაც შეთვისებული მასალის სისტემატიზებას უწყობს ხელს. წიგნს თანდართული აქვს თვალსაჩინო მასალის ელექტრონული ვერსიაც, რაც ამდიდრებს და აიოლებს ინფორმაციის აღქმის დივერსიფიკაციას სწავლის პროცესში.

რ.ღვამიჩავასა და მ.შავდიას მონოგრაფიის ღირსებად უცილოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი არის ბოლო 35 წლის განმავლობაში პირველი სრულყოფილი ენციკლოპედიურობის პრეტენზიის მქონე სამეცნიერო ნაშრომი ონკოლოგიაში, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო ანალოგებს, რომ ავტორების მიერ ჩატარებული დიდი შრომის შედეგად, სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმებისათვის შეიქმნა მეტად საჭირო სახელმძღვანელო „ონკოლოგია“, რომლის მსგავსი, ნაშრომის მოცულობის, განხილულ პრობლემათა აქტუალობის და შინაარსის გათვალისწინებით, ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს სამედიცინო საგანმანათლებლო სივრცეში.

**რამაზ შენგელია,**

**თსსუ მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

## ინფორმაცია

### ქართულ ჩაის შიდა ბაზარზე მხოლოდ 12% უკავია



**ამის შესახებ აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა თენგიზ სვანიძემ განაცხადა.**

**მისი თქმით, დღეისთვის საქართველოში ჩაის გადამმუშავებლი 15 საწარმო არსებობს, რომლებიც წლიურად 4 ათას ტონა ჩაის პროდუქციას გამოიმუშავებს, რომელიც ძირითადად ექსპორტზე გადის.**

**— საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციები იძლევა იმის საშუალებას, რომ ადგილზე 80 ათასი ტონა ფოთლის და შესაბამისად 20 ტონა პროდუქციის წარმოება მოხდეს, — აღნიშნა სვანიძემ.**

**მისივე თქმით, 2004 წელს ქართული ჩაის ხვედრითი წილი შიდა ბაზარზე 5%, ხოლო დღეისთვის 12%-მდე მოდის, რაც იმდენად ცოტაა, რომ „საქართველოს როგორც მეჩაიეობის ქვეყნისთვის სამარცხვინოც კია“.**

**ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველო წელიწადში 1500-მდე ტონა ჩაის მოიხმარს, რომლის საერთო ღირებულებაც დაახლოებით 45 მილიონი დოლარია.**

**— ეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში შიდა ბაზრის თითქმის 90% უცხოურ ჩაის უკავია, — აღნიშნა სვანიძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## განსჯა

*საქართველოში ცოტა ხნის წინათ დაბრუნებისას ნაცნობმა ძველი „24 საათი“, (**WEEKEND, პარასკევი, 11-17 თებერვალი, 2011 წელი, №4**) საგაზეთო სტატია „**ამბავი გაფრენილი თუთიყუშებისა**“ შემომაჩეჩა — ერთი შეხედე, რას წერსო...*

*ნაჩქარევი დასკვნის გამოტანა არ მჩვევია — ჯერ ავტორს დავაკვირდი და გამიკვირდა: **ნოდარ ლადარია — პრესომბუდსმენი?..** არ ვიცოდი, თუ საქართველოში ასეთი თანამდებობა არსებობდა. თუმცა, სულაც არ არის აუცილებელი ოფიციალური სტატუსი — სავსებით დასაშვებია, ადამიანმა ამ გზით განსაზღვროს თავისი საქმიანობა, როგორც მამულიშვილური მოწოდების შედეგი ან სულაც ასეთი „ფსევდონიმის“ მეშვეობით გაამართლოს საკუთარი შემოსავალი. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ომბუდსმენობა მეტად თამამი და საპასუხისმგებლო მისიაა. ზოგჯერ ეს საქმე საზოგადოებისთვის საშიშიც კია, თუ ომბუდსმენი მიკერძოებული ადამიანია.*

# სალიერის კომპლექსი,

## ანუ ამბავი მოფრენილი თუთიყუშისა და ...გონების ქაოსურობისა

იქვე, საგაზეთო გვერდის ზევითა მარჯვენა კუთხეში, გაუგებარი კარიკატურაა განთავსებული. ვიფიქრე: თუ კარიკატურაა — ნოდარ ლადარია იუმორით ან, ყოველ შემთხვევაში, ირონიის უნარითაა დაჯილდოებული, რაც უეჭველად მის სასარგებლოდ მეტყველებს-მეთქი. საერთოდ იუმორს და ირონიას მოკლებული ადამიანი გარკვეულ ეჭვს იწვევს. ჩვენ ხომ ყველა დანარჩენ ცოცხალ არსებათაგან ამ თვისებებით განვსხვავდებით და თუ ეს შინაგანი ნიჭი ვინმეს არა აქვს, მეტად მარტივი არსებაა, ამოუცნობი ქცევითა და გაუგებარი ზნეობით....

ჯანმრთელი ირონიის და მიუკერძოებული პოზიციის მოლოდინით შევუდექი გაფრენილი თუთიყუშების ამბის კითხვას და... ორიოდ წუთში ჩემმა მოლოდინმა სრული კატასტროფა განიცადა: პრესომბუდსმენმა შემათრია თავისი გონების ქაოსურ, აბობოქრებულ და მშფოთვარე ნაკადში სადაც საბჭოთა ანიმაციური ფილმი და უადგილოდ მოხსენიებული ექსისტენციალიზმი გვერდი-გვერდ ბინადრობდნენ. მისმა აგზნებულმა ცნობიერებამ არ დაუტოვა ადგილი არც ირონიას, არც მიუკერძოებულობას, არც თანამედროვე აზრის სვლას. ასეთი შინაგანი შფოთის მიზეზი კი (არ გაგიკვირდეს მკითხველო) აღმოჩნდა **ოთარ იოსელიანი!**

დროის ფუჭი ხარჯვა იქნებოდა გამერკვია, თუ რატომ უარყოფს ლადარია ოთარ იოსელიანს როგორც შემოქმედს, ცოდვაში რატომ უთვლის სხვადასხვა ენის ცოდნასა და სიყვარულს, რატომ ვერ ეგუება იმას, რომ იოსელიანი შემოქმედებითად დაიხვეწა კომუნისტურ ეპოქაში და საერთოდ რით დაიმსახურა მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულმა, 77 წლის კინორეჟისორმა, ნოდარ ლადარიას, ჩვენი პრესომბუდსმენის რისხვა... არც იმაზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას, თუ ვინ არის თვით სტატიის ავტორი, რა ღვაწლი მიუძღვის მას ქვეყნის და ხალხის წინაშე და იცნობენ თუ არა მას მსოფლიოში შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებში... ვინც ამით დაინტერესდება, ბევრი დრო არ დაეხარჯება...

ოთარ იოსელიანს პირადად არ ვიცნობ და ესეც ლადარიასთვის დამაწყნარებელი აბი იყოს.

მახსოვს, როგორ კითხულობდა ოთარ იოსელიანი უნივერსიტეტის პატარა აუდიტორიაში ლექციებს კინოს თეორიაში. ოცი სტუდენტისთვის განსაზღვრულ ოთახში სხვადასხვა ფაკულტეტიდან და ინსტიტუტიდან მოსულები სამჯერ მეტნი ვიჯექით და თანაც საღამოობით, როდესაც ნებისმიერ ახალგაზრდას გული სხვაგან მიუწევს...

მახსოვს, როგორ მეკითხებოდნენ მასზე რუსეთში და როგორ შურდათ რომ იგი არა მათი, არამედ ჩემი ქვეყნის შვილი იყო...

მახსოვს იოსელიანის ხსენებისას ქართველების სიამაყეც და შინაგანი რევანშის შეგრძნებაც, რაც ჩვენ, მეტროპოლიის პერიფერიაზე მცხოვრებთ, იმ დროში გვახასიათებდა.

მახსოვს უცხოეთში გადაღებული მისი ფილმების წარმატება და იმის სინანული, რომ ჩვენ თავის დროზე ძალა არ გვეყო, გველიარებინა ჩვენივე თავი ისე, როგორც ეს მოახერხეს ფრანგებმა „მთვარის ფავორიტების“ ნახვისას...

ოთარ იოსელიანი არ საჭიროებს დაცვას. ის ძველებურად ისეთივე თავისუფალი ადამიანია, მისი ხელწერაც ისევ ისეთია — ოდნავ უცნაური და მიმზიდველი: ის არსად არ ეპატიჟება მაყურებელს, არაფერს უხსნის — მაყურებელი მას არ აინტერესებს — მხოლოდ უფლებას უტოვებს მას, გვერდით დაუდგეს და თვალი ადევნოს, რასაც აკვირდება. მისი კადრსმიღმა ხმაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავთან ბუტბუტია: თითქოს თავის თავს ელაპარაკება, თავის თავს უთარგმნის...

მის „ზურგს უკან მდგომი“ მაყურებელი უბრალო, უმნიშვნელო, ჩვეულებრივი ცხოვრების დეტალებიდან თითქოს უნებლიეთ „კრებს“ მოზაიკურ ამბავს, რომელიც ხან ადამიანური დრამაა, ხან ტრაგიკომედია და ხან რა... იოსელიანის განუმეორებლობა ცხოვრების ნაკადის დანახვაშია, სადაც ყველაფერია ერთმანეთში არეული: ზედაპირული და მნიშვნელოვანი; ირონიული და დრამატული; შეუმჩნეველი და თვალში საცემი.

ერთხელ ნაცნობმა მხატვარმა (ძალიან კარგი ტექნიკის პატრონმა) ვან-გოგის „მზესუმზირების“ რეპროდუქცია მაჩვენა და მკითხა: „რა აგიჟებს ხალხს? ხომ იცი, ასე დახატვა მეც შემიძლია?!“. დავიბენი, მხარზე მოვუთათუნე და მხოლოდ იმის თქმა მოვახერხე: „კი, შეგიძლია... მაგრამ საქმე ის არის, რომ **ის პირველი იყო...“**. ოთარ იოსელიანის მიმბაძველებიც არსებობენ, მაგრამ ის პირველი იყო და ასეთად დარჩება კინოს ისტორიას, შეეგუება ამას ლადარია თუ არა.

ამას წინათ, ტელევიზიით მიკლოშ ფორმანის ფილმი, „ამადეუსი“ აჩვენეს. სალიერის აგიჟებდა, რომ მოცარტის მუსიკის პოპულარობას თან სდევდა ამ პატარა, ჩია კაცის უმსგავსო ქცევა, ხულიგნური გამოხდომები, საკუთარი მუსიკალური შედევრების მიმართ ერთგვარი დაუდევრობა... სალიერი ერუდირებული, კარგი მუსიკოსი და ღვთისმოშიში ადამიანი იყო. გენიოსის თავნებობა და წრეგადასული სითამამე ღმერთის უსამართლობად მიიჩნია... მას შემდეგ დამკვიდრდა სიტყვათშეხამება „სალიერის კომპლექსი“, როგორც შურის, ბოროტების, მკრეხელობის და სხვა ამგვარი თვისებების ნაზავი.

ყოველ ადამიანს საკუთარი, განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლება აქვს. მაგალითად, ლადარიას შეუძლია, ეჭვქვეშ დააყენოს ვან-გოგის, უშანგი ჩხეიძის, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მნიშვნელობა იმ მიზეზით, რომ ისინი გამორჩეული სამშვინველის მატარებელნი იყვნენ. მაგრამ მისი კულტურული რევიზიონიზმი მხოლოდ აკვიატებულ რევიზიონიზმად დარჩება, ხოლო პრესომბუდსმენი შემორჩება ისტორიას, როგორც სალიერი. ალბათ, ესეც მისაღებია ლადარიასთვის — რაღაცით მაინც დაამახსოვრებს თავს შემდგომ თაობებს...

***ერთხელ ნაცნობმა მხატვარმა (ძალიან კარგი ტექნიკის პატრონმა) ვან-გოგის „მზესუმზირების“ რეპროდუქცია მაჩვენა და მკითხა: „რა აგიჟებს ხალხს? ხომ იცი, ასე დახატვა მეც შემიძლია?!“. დავიბენი, მხარზე მოვუთათუნე და მხოლოდ იმის თქმა მოვახერხე: „კი, შეგიძლია... მაგრამ საქმე ის არის, რომ ის პირველი იყო...“. ოთარ იოსელიანის მიმბაძველებიც არსებობენ, მაგრამ ის პირველი იყო და ასეთად დარჩება კინოს ისტორიას, შეეგუება ამას ლადარია თუ არა.***

ამიტომაც ეს წერილი უფრო ახალგაზრდა თაობისთვისაა განსაზღვრული და არა ლადარიასთვის, რომელსაც თავის თავში ჩახედვა უფრო სჭირდება, ვიდრე აღიარებულ ლეგენდებთან ჭიდილი... თუმცა ესეც მხოლოდ და მხოლოდ სუსტი იმედია — როგორც წესი, ამბიციურობა და კომპლე[redacted]ნ ადამიანში საკუთ[redacted]ის განცდას...

**[redacted]იმედს ვიტოვებ რა, ყ[redacted] წინასწარ ვამბობ: ვ[redacted] მრისხანე ლადარ[redacted]ნელიას, ან ლადო მ[redacted]ნ ლეო ბოკერიას, [redacted]ძეს გადასწვდეს... [redacted]რ იქნება მხოლოდ მი[redacted]ის პრობლემა — ომ[redacted] მყოფ საქართველ[redacted]ა გაშმაგებულად მ[redacted]უთარ კომპლექსებს [redacted]ადაყოლილი „პრესო[redacted]“.**

**მალხაზ ჟვან[redacted]**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვინ ემუქრება საქართველოს?

**საქართველო რუსეთს მიიჩნევს თავისი სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის ძირითად წყაროდ – და ამის შესახებ ნათქვამია ეროვნული უშიშროების ახალი კონცეფციის პროექტში. რუსეთის რეაქცია საქართველოს პრეტენზიებზე განჭვრეტადია, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტისა და ამ რეგიონების რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ.**

საქართველოს კვლავ აქვს ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ნატოს მოკავშირის, იმედი, განსაკუთრებით იმისა, რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ელემენტების განთავსებას. ჯერჯერობით კი მშვიდობის გარანტიას საქართველოს, რუსეთისა და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საზღვრებზე იძლევა მხოლოდ ბლოკ-პოსტი, სადაც რადიო თავისუფლების კორესპონდენტი იყო.

საქართველოს ბლოკ-პოსტს სამხრეთი ოსეთის საზღვარზე, როგორც წესი, იცავენ კალაშნიკოვის ავტომატებით შეიარაღებული მდუმარე და პირქუში ჯარისკაცები. მარცხნივ მოჩანს ცხინვალის მიდამოები, დაახლოებით 30 კილომეტრით უკან არის გორი. სულ რაღაც 50 მეტრში ფრიალებს რუსეთის დროშა, მის მახლობლად განთავსებულია რუსეთის ბლოკ-პოსტი. ფოტოს გადაღების ნებას არ იძლევიან. გორისკენ მიმავალ გზაზე ხშირად გვხვდება შეიარაღებული ჯარისკაცები. საზღვრისპირა სოფლებში ბევრი დანგრეული სახლი მოჩანს, ქუჩებში უმეტესად ხანდაზმული მამაკაცები დადიან. თავად გორში გვიჩვენებენ ახლახან აშენებულ ახალი სალებავით შეღებილ საცხოვრებელ სახლებს. აგვისტოში, გვიხსნიან ქართველი თანამგზავრები, ამ სახლებს ცეცხლს ესროდნენ ცხინვალის მხრიდან რუსთა ტანკები და „გრადის“ ტიპის რაკეტები. დღეს თვითგამოცხადებული სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკა გადატვირთულია სწორედ რუსეთის შეტევითი შეიარაღებით, რაც საქართველოს ხელისუფლების შიშს იწვევს, ამბობს საქართველოს პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე.

საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კანდელაკის სიტყვებით, თავად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების განლაგების ასეთი ფაქტი პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.




– წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ ინვესტორი, საქართველოს კი რეალურად უჭირავს მაღალი ადგილები სხვადასხვა რეიტინგებში, შთამბეჭდავი პროგრესია, ჩვენ ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანა ვართ, ვიდრე ევროკავშირის სამი წევრი ქვეყანა... და თქვენ მოდიხართ და ამბობთ: ეს ყველაფერი საინტერესოა, ეს ყველაფერი მიმზიდველია, მაგრამ მე წავიკითხე გუშინ, რომ თქვენ გვერდით გაჩნდა კიდევ ათი რაკეტა. ეს, რასაკვირველია, ხელს არ უწყობს არავითარ ინვესტიციებს, – ამბობს გიორგი კანდელაკი.

– უახლოეს პერიოდში საქართველოს პარლამენტი განიხილავს ქვეყნის უშიშროების კონცეფციის ახალ პროექტს, სადაც დასახელებულია პირველი საფრთხე საქართველოს სახელმწიფოსთვის. ეს არის რუსეთი, – აცხადებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯომარე გივი თარგამაძე. – ჩვენ ბედნიერები ვიქნებოდით, თუ ჩვენი მთავარი პარტნიორები უზრუნველყოფდნენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია, ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ საქართველოს ჰყავს ვინმე უფრო ხელშესახები მტერი, ვიდრე რუსეთია. და ჩვენ იძულებული ვართ, აღვნიშნოთ ეს უშიშროების ახალ კონცეფციაში. ეს, უბრალოდ, ქართული იდეა კი არ არის, ეს ცხოვრების აუცილებლობაა, – დარწმუნებულია გივი თარგამაძე.

რუსი სამხედრო ექსპერტის ალექსანდრ გოლცის აზრით, უშიშროების ამგვარი კონცეფცია – ეს არის ბიუროკრატიის პასუხი იმ გადაწყვეტილებაზე, რასაც ქვეყნის ხელმძღვანელობა იღებს. რუსეთის პირველი ხარისხის საფრთხედ აღიარება საქართველოსთვის – ეს არის ფორმალურობა პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც ისედაც ცხადია, კონცეფციის გარეშეც.

სიტყვათშეხამებას „ოკუპირებული ტერიტორიები“ და „ოკუპანტი ქვეყანა“ რუსეთთან დამოკიდებულებაში ქართველი პოლიტიკოსები ხშირად ხმარობენ. არ არის არანაირი ეჭვი, აცხადებენ ისინი, რომ სწორედ რუსეთმა დაიწყო 2008 წლის აგვისტოში ხუთდღიანი სისხლისმღვრელი ომი საქართველოსთან, რაც დამთავრდა საქართველოს ტერიტორიების დაპყრობით, რომლებზეც არსებობენ თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკები.

საპირისპირო ბრალდება გაისმის რუსეთის მხრიდან საქართველოს მისამართით. ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის პრესამ გამოაქვეყნა ამონარიდები თითქოსდა ჯერ კიდევ გაუხსნელი ფაილებიდან, კერძოდ კი ზოგიერთი ამერიკელი დიპლომატების მიმოწერებიდან, რასაც „ვიკილიკსის“ ფაილები შეიცავენ. მასალებიდან ჩანს, რომ ერთი დღე-ღამით ადრე 8 აგვისტომდე, საქართველოს სამხედრო სარდლობა ამტკიცებდა, თითქოს ბრძოლის შემდეგ კონტროლზე აიყვანა სამხრეთი ოსეთის დიდი ნაწილი, მათ შორის ცხინვალი. საქართველოს მხარემ ბრალი დასდო რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმაში, რომ ისინი ახდენდნენ „ვიკილიკსის“ მასალების ციტირებას შერჩევით. და შეიძლება მალე საქართველოს პრესაში გაჩნდეს სრულიად სხვაგვარი ცნობები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოში ხუთდღიანი ომი.

RadioFreeEurope RadioLiberty

## დედამიწის ზურგზე



**ისრაელის ყოფილ პრეზიდენტს მოშე კაცავს გაუპატიურებისთვის 7 წლის პატიმრობა მიუსაჯეს**

2010 წლის დეკემბერში ის სცნეს დამნაშავედ გაუპატიურების ორ ეპიზოდში, აგრეთვე სხვა სექსუალური ხასიათის დანაშაულობებში. ეს შედარებით მსუბუქი განაჩენია: კაცავს შეეძლო მიეღო 16 წლამდე პატიმრობა. თავის ბრალეულობას კაცავი უარყოფს.

* * *

**ნასამ ანტარქტიდაში გამოსცადა „ტელედიპუცას კოსტიუმი“ მარსზე გასაფრენად მომზადებისთვის**



სკაფანდრის გამოცდა მიმდინარეობდა არგენტინის კუთვნილ ტერიტორიაზე ანტარქტიკულ ბაზაში. იქ შეეძლოთ მოენახათ ისეთი პირობები, რომლებიც მაქსიმალურად უახლოვდება მარსისას – ყინვა 50 გრადუსია და არის ძლიერი ქარი, აგრეთვე არის მარადისი გამყინვარება. მაგრამ მარსზე ხალხის გაგზავნამდე ჯერ შორსაა – სულ ცოტა მეოთხედი საუკუნე.

* * *

**საერთაშორისო კოალიცია კვლავ ბომბავს ლიბიას. მფრინავების გადალაპარაკება გაჩნდა „ტვიტერში“**



მესამე დღეა ტრიპოლს ბომბავენ: ქვეყანაში გაისმა რამდენიმე ძლიერი აფეთქების ხმა, განუწყვეტლად ისროდნენ საზენიტო ბატარეები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, საავიაციო დაბომბვა განახორციელეს ლიბიის ლიდერის მუამარ კადაფის რეზიდენციაზე. მსხვერპლისა და ნგრევების შესახებ ცნობები ჯერჯერობით არ არის.

* * *

**თეთრი კვამლის სვეტები კვლავ გამოჩნდა ატომური ელექტროსადგურის ენერგობლოკებზე. რადიაციის დონე ნორმას 1600-ჯერ აჭარბებს**



ამ დროს წყლის ჩამოსასხმელად მეოთხე რეაქტორზე დაიწყო სპეციალური ტექნიკური კონსტრუქციის დაყენება დისტანციური მართვით. იგი საშუალებას მისცემს მათ, იმყოფებოდნენ ენერგობლოკიდან 100-300 მეტრზე. ღამით კუნძულ ხონსიუს აღმოსავლეთ სანაპიროზე მოხდა სამი მიწისძვრა მაგნიტუდებით 5,0-დან 5,2-მდე.

* * *

**სახელმწიფო დეპარტამენტი: მუამარ კადაფის წასვლა აშშ-ს საბოლოო მიზანია ლიბიაში**

შეკითხვაზე, მიაჩნია თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლად ლიბიის კრიზისის მოწესრიგება დიპლომატიური გზით, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უპასუხა: „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კადაფი უარს იტყვის ხელისუფლებაზე“.

# გადაარჩენს დონალდ ტრამპი პოსტსაბჭოთა საქართველოს?

**ვარდების რევოლუციის მოედანზე აღმართულია ახალი სასტუმროს უზარმაზარი შენობა, მაგრამ ანგრეულ-დანგრეული ტროტუარები და ჭუჭყიანი მიწისქვეშა გადასასვლელები მის მახლობლად აშკარად მოწმობენ იმის შესახებ, რომ საქართველოს ინვესტიციები სჭირდება.**

შეიძლება, მალე ამ მოედანზე გაჩნდეს ახალი ღირსშესანიშნაობა: ამ თვეში ზღაპრულად მდიდარმა ამერიკელმა მშენებელმა მაგნატმა დონალდ ტრამპმა იკისრა ვალდებულება, გაუწიოს დახმარება თავისი საფირმო კოშკების მშენებლობაში, პლუს ამას, აღმართოს კიდევ ერთი ასეთივე კოშკი ზღვისპირა საკურორტო ქალაქ ბათუმში.

ეს გარიგება სასარგებლო იქნება პიარის თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთვის, რომელიც ცდილობს, მიიზიდოს უცხოური ინვესტიციები რუსეთიდან 2008 წლის ომისა და გლობალური საფინანსო კრიზისის შემდეგ.

მაგრამ სტატისტიკა, რომელიც გამოქვეყნდა მეორე დღეს მას შემდეგ, რაც ტრამპთან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, აჩვენებს, რომ საქართველოს სჭირდება უფრო მეტი დახმარება, ვიდრე ამას ამერიკელი მაგნატი შეძლებს. წინასწარი მონაცემებით, 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 16 პროცენტით შემცირდა.

„ინვესტორები აქ ხედავენ რისკს, თანაც რუსეთის შემოჭრამ ზიანი მიაყენა საქართველოს, როგორც მიმზიდველ მიმართულებას ინვესტიციებისთვის, – ამტკიცებს თბილისის უნივერსიტეტის ეკონომისტი გიორგი ღაღანიძე. – ომის წინ ჩვენ ეკონომიკური ზრდის კარგი მაჩვენებელი გვქონდა, ამიტომ ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ არ გველოდება ახალი კონფლიქტი. ჩვენ გვჭირდება განვამტკიცოთ ინვესტორების ნდობა“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ სურს თავისი ქვეყანა გადააქციოს სინგაპურის პოსტსაბჭოურ ვერსიად. მისმა რეფორმისტულმა პროდასავლურმა ადმინისტრაციამ მსოფლიო ბანკის ქება დაიმსახურა საქმიანი კლიმატის ლიბერალიზაციის საქმეში. აღინიშნა აგრეთვე მისი ძალისხმევა ინსტიტუციონურ კორუფციასთან ბრძოლის საქმეში.

„ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ 4,4 მილიონი მოსახლეობით, პატარა ბაზრით, ამიტომ ჩვენ გვჭირდება უცხოური ინვესტიციები, – განმარტავს ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია. – ჩვენ გავაუქმეთ ყველა ზედმეტი კანონი და ნორმატიული აქტი, რომელიც ბიზნესის წარმართვას ეხებოდა, დავიქირავეთ ხალხი დასავლური განათლებით, შევაჩერეთ კორუფცია“.

ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე საქართველოს შეუძლია შესთავაზოს უცხოურ კომპანიებს გზა ენერგორესურსებით მდიდარი კასპიის ზღვისკენ და ცენტრალური აზიის ბაზრებისკენ, მიაჩნია საქართველოს ეროვნული კომიტეტის საერთაშორისო ვაჭრობის პალატის ხელმძღვანელს ფადი ასლის. „საქართველოს აქვს რეალური უპირატესობანი: იგი არის თანამედროვე, კონკურენტული და შეუძლია გახდეს პლაცდარმი რეგიონში ბიზნესის განვითარებისთვის“, – დარწმუნებულია ასლი, ლიბანური წარმომავლობის ბიზნესმენი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა.

მაგრამ კრიტიკოსები ბრალს სდებენ ხელისუფლებას იმაში, რომ იგი სთავაზობს ხელსაყრელ კონტრაქტებს სამთავრობო ფირმებს და აწესებს დიდ ჯარიმებს პატარა ბიზნესზე, რათა შეავსოს ხაზინა. ხელისუფლება მიუთითებს აგრეთვე ორი ისრაელელი ბიზნესმენის საქმეზე, რომლებიც ამჟამად თბილისის ციხეში იმყოფებიან მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის მიცემის მცდელობისთვის. ბიზნესმენები ამტკიცებენ, რომ ჩინოვნიკებმა მათ ხაფანგი მოუწყვეს, მათი სიტყვებით, სასამართლო გამოძიება აჩვენებს, თუ რამდენად სახიფათოა სახსრების დაბანდება საქართველოს ეკონომიკაში. „ეს ქვეყანა არის სამოთხე უცხოელი ინვესტორებისთვის, სანამ ისინი წესის მიხედვით თამაშობენ, მაგრამ დამოუკიდებელი სასამართლოების და მთავრობის ჩარევისგან თავისუფალი ბაზრების უქონლობის გამო, მათ შეიძლება გაუჩნდეთ პრობლემები“, – მიაჩნია ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის ლიდერს თინა ხიდაშელს.

საერთაშორისო რეიტინგული სააგენტოები ამტკიცებენ, რომ საქართველოში პოლიტიკური რისკები შემცირდა, რადგან რუსეთთან ახალი შეტაკება ნაკლებად სავარაუდო გახდა, ოპოზიციის პროტესტებმა კი ვერ შეძლეს სააკაშვილის ადმინისტრაციის დესტაბილიზაცია. 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა მხარი დაუჭირეს საქართველოს ეკონომიკას, მისცეს ქვეყანას დახმარება და კრედიტი 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობით. ეს დაეხმარა საქართველოს, შეენარჩუნებინა სტაბილურობა გლობალური კრიზისის დროს და ომის შემდეგ დაბრუნებულიყო ეკონომიკური ზრდისკენ. მიუხედავად ამისა, ინფლაცია, სიღარიბე და უმუშევრობა კვლავ სერიოზულ პრობლემებად რჩება.

ადგილობრივმა კრიტიკოსებმა მალე აღნიშნეს, რომ, მართალია, ტრამპმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც მის სახელს ატარებს და დაჰპირდა ქვეყანას, რომ მოიზიდავდა სახსრებს მშენებლობისთვის, მან არ დააბანდა სახსრები პროექტში, რომლის ბიუჯეტიც დაახლოებით 250 მილიონ დოლარს შეადგენს.

სხვათა შორის, მიუხედავად ამისა, მთავრობა ოპტიმიზმით მიიჩნევს, რომ ამერიკელი მაგნატის სახელი და ავტორიტეტი თავისთავად შეიძლება რეკლამის კარგი პროექტი გახდეს. „როდესაც ისეთი ადამიანი, როგორიცაა ტრამპი, გადაწყვეტს, რომ საქართველო – ეს არის ხელსაყრელი ადგილი მისი ბრენდისთვის, ბევრი სხვა კომპანიაც სიამოვნებით მიდის მის კვალდაკვალ“, – ამტკიცებს მინისტრი ქობალია.

AFP

მხარე

# კაცი, რომელიც საქმით იცნობა

**გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სენაკის რაიონმა ბევრი უბედურება გადაიტანა, მათ შორის — თანამემამულეთა შინაომი და 2008 წლის რუსთა აგრესიის მძიმე განსაცდელი. მრავალჭირვარამგამოვლილმა ქართველმა კაცმა გაუძლო რბევას, ნგრევას და პირტიტველა ბიჭების უსაფლავოდ დაკარგვას. შვილმკვდარმა დედებმა რწმენა მაინც შეინარჩუნეს.**

გავიდა დრო და აღდგა გაპარტახებული სოფლები, ჩახერგილი ხიდ-ბოგირები, დანგრეული ინფრასტრუქტურა. განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა სამართალდამცავ ორგანოთა სახეცვლილება. მწარე მოგონებად დარჩა განუკითხაობის ის დრო, როცა არაკაცებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ძველსენაკელი ომარ დავითაია, პატიოსანი, შრომისმოყვარე და ალალმართალი ადამიანი; მეორე ნოსირში ილუშა კერძაიას ოჯახს ერთ ღამეში მოჰპარეს 15 სული კამეჩი და რამდენიმე ძროხა. ორივე ფაქტი მაშინ გამოუძიებელი და ზარალაუნაზღაურებელი დარჩა, რადგან განუკითხაობა იყო. დღეს კი სხვაგვარადაა საქმე. ყოველივე ეს სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ჩვენი რაიონის მაჟორიტარი პარლამენტარის გურამ მისაბიშვილის დამსახურებაცაა.

სოფლის მოსახლეობას ყოველი თვის ბოლოს მძიმე ტვირთად აწვა ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის უგერგილობის გამო უსამართლო დავალიანებები. ავარიულ მდგომარეობაში იყო მთლიანად ელექტროგაყვანილობა, უმთავრესად სოფლებში. დეპუტატთან ერთ-ერთი შეხვედრისას ძველი სენაკის თემის სამივე უბნის მოსახლეობამ სთხოვა ბატონ გურამს დახმარებოდა მტკივნეული საკითხის — თემის ტერიტორიაზე ინდივიდუალური გამრიცხველიანების მოგვარებაში. ჩვენს თხოვნას უკვალოდ არ ჩაუვლია: გურამ მისაბიშვილმა შესაბამის სამსახურებთან ერთად დაიწყო პრობლემის მოგვარება: მთელ თემში გამოიცვალა ელექტროგაყვანილობა, ყველა ოჯახს დაუმონტაჟდა ინდივიდუალური მრიცხველები. ამასთანავე, სოფლის განვითარების პროგრამით გარემონტდა და გადაიხურა ძველი სენაკის კულტურის სახლი, განათდა თემის სამივე უბნის ჩაბნელებული ცენტრები, შეკეთდა მე-2 ნოსირის კულტურის სახლის სახურავი, მოიხრეშა ორი უბნის გზები, ამოიწმინდა კალაპოტი მდინარე ნახურისა, რომელიც წვიმებისას ნაპირებიდან გადმოდიოდა და მოსახლეობას დიდ ზიანს აყენებდა. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დეპუტატის ძალისხმევით მუნიციპალიტეტის ყველა თემში შენარჩუნებულია ბიბლიოთეკა. მშობლიურ რაიონში ბატონ გურამის საქმიანობას რომ ვაკვირდები, უნებურად მახსენდება დიდი მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილისადმი მინაწერი: „შენ ხარ... განუყოფელი და ერთგული მსახური შენი მშობლიური საქართველოსი... შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე... მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე“...

**გურამ მისაბიშვილიც წრფელი გულით გასცემს სიკეთეს და იმკის სიყვარულს, თავადაც სიყვარულის მთესველი. თანადგომას არ აკლებს სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ამბობენ, კაცი საქმით იცნობა და ფასდებაო. ეს ჩვენს დეპუტატზეც ითქმის.**

**ნელი ჯანჯღავა,**
**სენაკის რაიონის ძველი სენაკის თემის მცხოვრები, ღირსების ორდენოსანი**

ვალები

# „შავსიელი“ მოვალეები: არსებობა გადასახადებიდან გადასახადებამდე

**გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი, რომლის პირველი სიმპტომები ჯერ კიდევ შარშან გაჩნდა, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ნიშნით ხასიათდება. გამონაკლისი ამ მხრივ, ცხადია, არც საქართველოა. ეკონომიკური კრიზისის დაძლევას ჩვენში ზოგი ისეთი რამ ახასიათებს, რაც ეროვნული ეკონომიკისა და ფინანსების მართვის თავისებურებებს უკავშირდება.**

საქართველოში მოვალეთა რეესტრი, რომლის სიებში ის ფიზიკური და იურიდიული პირები ფიგურირებენ, ვისაც კომერციული ბანკების სოლიდური დავალიანება აქვთ, მაგრამ ამა თუ იმ სახეობის ქონებით (მოძრავის ან უძრავისძ უზრუნველყოფილი არ არის და სახსრებს დადგენილ ვადებში ვერ აბრუნებენ, დაახლოებით ერთი წლის წინათ შეიქმნა. ამ ხნის მანძილზე მის „კლიენტთა“ უაღრესად არასახარბიელო სიაში 33 ათასზე მეტი ფიზიკური თუ იურიდიული პირი მოხვდა. მარტო წლის დამდეგიდან მასში 12 ათასზე მეტი ფირმისა და ფიზიკური პირის მონაცემები შეიტანეს. შესაბამისად, ორ თვეში „შავ სიაში“ მოხვედრილ პირთა რიცხვმა დაახლოებით 40 პროცენტით (!ძ მოიმატა.



„შავსიელთა“ ასეთ უპრეცედენტო ზრდას რამდენიმე მიზეზი აქვს: კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, აღსრულების ეროვნულ ბიუროში მიაჩნიათ, რომ მოვალეთა რეესტრის სიის რეკორდული ზრდა მათი აქტიური მუშაობის შედეგია, თუმცა იმასაც დასძენენ, რომ მომდევნო თვეებში ამ სიის გაზრდა მოსალოდნელი არ არის. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ მათ შორის, ვინც სადღეისოდ ამ სიაში მოსახვედრი იყო, უკვე მოხვედრილია. „ცოდვილთა“ სიის ზრდას ბოლო დროს მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებასაც უკავშირებენ. ამასთან, მოსახლეობის დღითი დღე მზარდ სიდუხჭირეზე, გაუსაძლის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელიც, ცხადია, უკიდურესად მძიმე სოციალური ყოფის უმთავრესი მიზეზია, ყურადღებას დიდად არავინ ამახვილებს. არადა, სწორედ მოსახლეობის მზარდი გაღატაკება, 12,5 პროცენტს უკვე გადაბიჯებული ინფლაცია, რაც, ბუნებრივია, ყველაზე მეტად და მტკივნეულად, უქონელ ხალხზე აისახება, ის მასაზრდოებელი გარემოებებია, რომლებიც მოვალეთა რეესტრის სიის ზრდას მუდმივად კვებავენ. ხელისუფლებას ან არ უნდა, ანდა ვერაფერს აკეთებს იმის საპირწონედ, რომ მოსახლეობას ნორმალური ცხოვრების საშუალება ჰქონდეს და „გადასახადების გადახდის ერთი ვადიდან მეორე ვადამდე“ როგორმე თავის გატანის სასიცოცხლო აუცილებლობის წინაშე გამუდმებით არ იდგეს. ინფლაციის დონის ზრდა, სამომხმარებლო ფასების ინდექსაციის სრული უგულებელყოფა და საგადასახადო წნეხის სიმძლავრის მატება – ეს ის „მახინჯი სამეულია“, რომელიც მოვალეთა სიას „კლიენტურას მატებს“. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მოვალეთა რეესტრის ერთწლიანი ისტორიის მანძილზე, მის ნუსხაში მოხვედრილ პირთაგან ნაკისრ სასესხო ვალდებულებათა შესრულება დაახლოებით 20 პროცენტმა თუ შეძლო. ასევე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოვალეთა რეესტრის „ცოდვილთა“ ბაზაში იურიდიული პირები, ანუ კომპანიები დაახლოებით მესამედს შეადგენენ, უმეტესობა კი ფიზიკური პირები არიან, რაც მოსახლეობის უაღრესი გაღატაკების კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

უნდა ითქვას, რომ მოვალეთა რეესტრის ბაზის მონაცემთა გაცნობა ყველა მსურველს შეუძლია, ამდენად შავ სიაში მოხვედრილთა, მათი წარსული სამეწარმეო თუ კომერციული საქმიანობის „ცოდვების“ შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება ნებისმიერი პოტენციური ინვესტორისთვის ხელმისაწვდომია. ეს, მართალია, „ცოდვილ“ კომპანიას თუ ინდივიდუალურ მეწარმეს არასასურველ რაკურსში წარმოაჩენს, მაგრამ, მეორე მხრივ, სახსრების დაბანდების მსურველისთვის ერთგვარი გამაფრთხილებელი ნიშანია. არასანდო ფიზიკური თუ იურიდიული პირები კი, ცხადია, ინვესტორთა ნაკლებ ნდობას იმსახურებენ. აქედან გამომდინარე, მოვალეთა სიაში მოხვედრა ყველანაირად წამგებიანი, არაშესაშური რამ არის. თავად განსაჯეთ: როცა ბანკი, ან, გნებავთ, კერძო ინვესტორი, იურიდიული თუ ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაციას მიიღებს, რომ მის მიერ დადებული პირობა თუ ნაკისრი ვალდებულება ნაკლებად სანდოა, ასეთ პირს ფინანსური სახსრების მოძიება, კრედიტის მიღება უაღრესად გაუჭირდება და, ამდენად, ბიზნესის შემდგომი წარმოების პერსპექტივები მეტად ბუნდოვანი ხდება. თანაც, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი: მოვალეთა რეესტრის ბაზიდან მრავალი „ცოდვილი“ მეწარმე სუბიექტი ასევე კრედიტინფოს მონაცემთა ბაზაშიც მოხვდება, ამდენად, ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ისინი ეკონომიკური საქმიანობისას ძალიან დიდ წინააღმდეგობას გადააწყდებიან, ზოგს კი, სულაც, ეს გზა შესაძლოა ჩაეკეტოს კიდეც.

**ოთარ ტურაბელიძე**

პრესკონფერენცია

# მედიაგარემოს გასაუმჯობესებლად ხელისუფლება მზად არ არის

## ჟურნალისტებს კი „ვერ გაუგიათ“, რა უშლით ხელს?!

**„ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლები, მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, დააჩქაროს მედიაგამჭვირვალობის შესახებ მომზადებული კანონპროექტის განხილვა. ასევე მოვუწოდებთ საკანონმდებლო ორგანოს, რეგლამენტის შესაბამისად, უმრავლესობის ინიცირებულ კანონპროექტთან ერთად განიხილოს მედიაექსპერტების მომზადებული პარლამენტში შეტანილი კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც გულისხმობს რვა კანონში ცვლილებას“** — ასეთი მიმართვა გაუგზავნეს მედიის წარმომადგენლებმა პარლამენტს ჟურნალისტიკის დღეს.

სამწუხაროდ, ეს ის საკითხებია, რომელიც გასული წლის მიწურულს თითქოს შეთანხმებული იყო კიდეც უმრავლესობასთან, მაგრამ, როგორც ყოველთვის, პირობა ამჯერადაც დაირღვა.

ამიტომ მედიაექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც მედიაგამჭირვალობის შესახებ კანონპროექტს ლობირებს, საჭიროდ ჩათვალა პრესკონფერენციის გამართვა, რომელსაც ორგანიზატორობა ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველომ“ გაუწია, ვინაიდან ის პირველივე დღიდან აქტიურად უჭერს მხარს (ფინანსური თვალსაზრისითაცძ საქართველოში მედიის თავისუფლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მედიაგარემოს გაუმჯობესებას გულისხმობს, გასული წლის 12 ნოემბერს პარლამენტში ოფიციალურად დარეგისტრირდა და ეს ინიციატივა ქრისტიან-დემოკრატიულმა ფრაქციამ აიღო. ამის პარალელურად, იმავე დღესვე პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განსახილველად შევიდა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მომზადებული საკანონმდებლო პროექტი, რომელსაც საფუძვლად დაედო პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის 26 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მედიამფლობელთა გამჭვირვალობა.

ფონდის დირექტორი **ქეთი ხუციშვილი** ამბობს, რომ ეს კანონპროექტი მედიაექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ გამხდარა, თუმცა პირველი მოსმენით, რაც დეპუტატებმა განიხილეს, ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ ოფშორში დარეგისტრირებულ ფირმებს შეეხებოდა. მათ შეეძლოთ 10-პროცენტიანი წილის ფლობა მაუწყებლობებში. ეს 10 პროცენტიც სადავო გახდა, რადგან ალტერნატიული კანონპროექტი საერთოდ კრძალავს ელექტრონულ მაუწყებლობაში ოფშორული კომპანიების მონაწილეობას.

უმრავლესობის წარმოდგენილი კანონპროექტი სხვა ცვლილებას არ გულისხმობდა, თუმცა გუშინ ცნობილი გახდა, რომ ცვლილება სარეკლამო ჭრის გახანგრძლივებას შეეხება. ჟურნალისტი ნინო დანელია აცხადებს, რომ ამით ხელისუფლებამ გამოსავალი იპოვა, რადგან სარეკლამო ჭრის ხანგრძლივობა „რუსთავი-2“-სა და „იმედზე“ ისედაც გადამეტებული იყო, რის გამოც ორჯერ შევიდა სარჩელი ეროვნულ მარეგულირებელ კომისიაში, თუმცა უშედეგოდ.

საინიციატივო ჯგუფის პროექტი „მედიაგარემოს ანალიზი და მისი გაუმჯობესება“, გარდა მფლობელთა გამჭვირვალობისა, სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებსაც გულისხმობს; ის შეეხება ფინანსურ გამჭვირვალობას, ინტერესთა კონფლიქტს, საჯარო ინფორმაციის მიღებასთან, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრების ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას და სხვას.

ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე ამბობს, რომ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით უმრავლესობა პასიურობს: „18 მარტს მეორე მოსმენა უნდა გამართულიყო, მაგრამ უმრავლესობამ და ქრისტიან-დემოკრატებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. არ მესმის, რაზე დავობენ ისინი, რადგან ზეპირი შეთანხმება უკვე არსებობდა, განსაკუთრებით მფლობელთა ვინაობის საჯაროობის შესახებ. იმის გარდა, რომ ჩვენ 8 კანონში ცვლილება შევთავაზეთ ხელისუფლებას, გასულ წელის მარტში მე-9 კანონში ცვლილების პროექტიც შევიტანეთ პარლამენტში, ასევე მედიაგარემოს გაუჯობესების შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ის არც ერთ კომიტეტს არ განუხილავს, რაც პროცედურული დარღვევაა... მზად ვართ, კიდევ ერთხელ ვისაუბროთ და შევთანხმდეთ იმაზე, რაზეც ერთხელ უკვე შევთანხმდით“.

**მედიის წარმომადგენლებს ეჭვი ეპარებათ, რომ ხელისუფლება მზად იყოს ცვლილებებისთვის. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მიმართვის ტექსტის პარლამენტში გაგზავნა და ამ თემის გასაჯაროება. არადა ელექტრონული მედიის მფლობელთა და მათი ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აშკარად შეუწყობს ხელს საქართველოში მედიაგარემოს გაჯანსაღებას, — იმედოვნებენ ექსპერტები.**

**ნია ფიფია**



„ევრო-2012“

# სამი დღით ადრე




თუ ფრედ ვითამაშებთ, კმაყოფილი დავრჩებიო, — განაცხადა ხორვატებთან უმნიშვნელოვანეს შესარჩევ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ.

ზოგმა, შეიძლება, თავის დაზღვევის მცდელობად მიიჩნიოს ახალგაზრდა სპეციალისტის ასეთი მოკრძალებულობა, მაგრამ მეტოქის სიძლიერის გათვალისწინებით დასაწუნი არაფერი აქვს. აბა, ის იყო კარგი, მისი წინამორბედები ოცნების კოშკებს რომ აგებდნენ და გულშემატკივრებს ფუჭი ილუზიებით კვებავდნენ, საკვალიფიკაციო რაუნდის ფინიშზე კი მათ წინაშე თავის მართლება უწევდათ ჩაფლავებული ციკლისა და სატურნირო ცხრილის ფსკერზე დალექვისათვის?

რაც შეეხება საზრუნავს, მასპინძელთა პრობლემებმა კიდევ უფრო იმატა ჯანო ანანიძის არყოფნით, რომელმაც კოჭის მყესები გაიწყვიტა.

და ბოლოს, ორიდე სიტყვა ბილეთებზეც, რომელთა ფასებიც 5, 7, 10, 20 და 30 ლარს შეადგენს. როგორც შევიტყვეთ, პირველივე დღეს ეროვნული სტადიონის სალაროებში 15 000 ცალი ბილეთი გაყიდულია.

მრავლისმთქმელი ფაქტია.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# იაპონიას მიუახლოვდნენ



**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა სოჭში რუსეთის ეროვნულ გუნდს სძლია, რითაც რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში საკუთარ მონაგარს 0,75 1 ქულა შემატა. მართალია, „ბორჯღალოსნები“ მე-14 ადგილზე დარჩნენ, მაგრამ მე-13 ადგილზე მყოფ იაპონელებს საგრძნობლად მიუახლოვდნენ. მსოფლიოს თასის წლევანდელ გათამაშებამდე ჩვენმა მორაგბეებმა, შესაძლოა, IRB-ის „ერთა თასზე“ იასპარეზონ, რომელსაც ივნისში ბუქარესტი უმასპინძლებს.** ამ დროისთვის ძირითადი ნაკრების შეკრება არ ხერხდება, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ IRB-ის ნებას დართავს, ამ ტურნირში საქართველომ A ნაკრების სახელით მიიღოს მონაწილეობა.

არადა, ნამიბიასთან დაპირისპირება საერთო მაჩვენებლებზე აისახება.

რაც შეეხება რეიტინგში ცვლილებებს, ირლანდიელებმა ერთა თასზე ინგლისელთა ძლევით ორი საფეხურით წინ გადაინაცვლეს. დღევანდელი მონაცემებით კი პირველი-მეთხუთმეტე ადგილები ასე ნაწილდება: **1. ახალი ზელანდია (93, 19), 2. ავსტრალია (87,45), 3. სამხრეთ აფრიკა (86,44), 4. ირლანდია (82,51), 5. ინგლისი (82,48), 6. საფრანგეთი (82,06), 7 უელსი (79,55), 8. არგენტინა (78,97), 9. შოტლანდია (77,35), 10. ფიჯი (74,05), 11. სამოა (74,02), 12. იტალია (73,54), 13. იაპონია (71,45), 14. საქართველო (70,16), 15. კანადა (69,19)...**

**ლაშა დიდია**

ძიუდო

# ხელხვავრიელად

**თურქულ ანტალიაში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასი გათამაშდა. საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებაზე გიორგი ვაზაგაშვილის ხელმძღვანელობით 32 ფალავნით წარსდგა, ანუ იმ ბიჭებით, რომლებმაც ქვეყნის პირველობაზე მედლები მოიპოვეს. მათ მეზობელ თურქეთში თავი არ შეურცხვენიათ — შინ 16 ჯილდოთი დაბრუნდნენ.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თამაზ კირაკოზაშვილი (60), ლევან გუგავა (73), ბექა ღვინიაშვილი (81), შალვა ჩოჩელი (90) და გიორგი ლაზუაშვილი (+90). მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ აპოლონ ზურაბიანი (66), ბექა დოლვანი (73), ადამ ვარაზიშვილი (81) და გიორგი გელაშვილი (+90), ხოლო გოდერძი ფეტვიაშვილს (55), დავით ჭიკაიძეს (66), ჯაბა მუმლაძეს (81), ჯაბა კაპანაძეს (90) და ზაზა ხუბულურს (+90) მესამე ადგილები ხვდათ.

ანტალიაში გოგონებმაც იჭიდავეს. მარიამ ჯანაშვილმა 57 კილოში ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. ამავე წონაში მარიამ ციხელაშვილი მესამე იყო.

**გივი გაგუა**



ჭადრაკი

# მეთორმეტე — ექს-ლე-ბენში

**ფრანგულ ექს-ლე-ბენში გუშინ დაიწყო და 2 აპრილს დამთავრდება მოჭადრაკე ვაჟთა მე-12 ევროპის ჩემპიონატი სხვადასხვა ქვეყნის 407 წარმომადგენლის მონაწილეობით. შეჯიბრებაში საქართველოს სახელით ასპარეზობენ წინა ჩემპიონატების ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი ბაადურ ჯობავა, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი დავით ზარქუა, ასევე, ლევან ფანცულაია, დავით ბენიძე, თორნიკე სანიკიძე, დავით ლობჟანიძე, ლუკა პაიჭაძე, ლელა ჯავახიშვილი და სალომე მელია.**

ტურნირის საპრიზო ფონდია 113700 ევრო, საიდანაც გამარჯვებული 20 ათას ევროს მიიღებს, მეორეადგილოსანი — 15 ათასს, მესამეადგილოსანი 11 ათასს დაიმსახურებს. სხვადასხვა თანხით დაჯილდოვდებიან მეოთხე-ოცდამეხუთე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები. ოცდასამი საუკეთესო მოჭადრაკე მსოფლიო თასზე იასპარეზებს.



ჩემპიონატზე 11 ტური გათამაშდება. 29 მარტი დასვენების დღეა.

**ლექსო ცინცაძე**

# ყაიმებიც და გამარჯვებებიც

**მონაკოში მიმდინარე საჭადრაკო „ამბერტურნირზე“ მერვე ტურში თუ ყველა ბრმა პარტია ყაიმით დამთავრდა, ერთმანეთს დაუზავდნენ გრიშჩუკი-ნაკამურა, ანანდი-არონიანი, გელფანდი-ივანჩუკი, კრამნიკი-გაშიმოვი, კარიაკინი-გირი, ტოპალოვი-კარლსენი, სამაგიეროდ შედეგიანი გამოდგა ყველა პარტია სწრაფ ტურნირში:** ნაკამურამ დაამარცხა გრიშჩუკი, არონიანმა-ანანდი, ივანჩუკმა-გელფანდი, გაშიმოვმა-კრამნიკი, კარლსენმა-ტოპალოვი, გირმა-კარიაკინი. 8 ტურის შემდეგ 11,5 ქულით ლიდერობს არონიანი, 11 ქულა აქვს კარლსენს, 8,5-8,5 ქულა — ანანდსა და ივანჩუკს, 8-8 ქულა — გაშიმოვსა და გრიშჩუკს, 7,5-7,5 — ნაკამურასა და ტოპალოვს, 7-7 — გელფანდსა და კარიაკინს, 6 — გირს და 5,5 ქულა — კრამნიკს.

ინტერნეტიდან

# „ფორმულა-1“ გაიფიცება?

**თუმცა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატი ვერ დაიწყო ბაჰრეინში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, ის ალბათ ავსტრალიაში დაიწყება. მაგრამ მის ირგვლივ უკვე ვრცელდება სკანდალური ხმები. როგორც ამბობენ, ახლანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა „რედ ბულიდან“ ავსტრალიაში გამგზავრების წინ განაცხადა, რომ „დიდი პრიზების“ პილოტები მზად არიან... გაფიცვისთვის.**

შეგახსენებთ, რომ ახლანდელი სეზონისთვის FIA-მ შეჯიბრებათა რეგლამენტში შეიტანა რამდენიმე ახალი პუნქტი, მათ შორის ისეთიც, რაც პილოტებში იწვევს რბოლების უსაფრთხოებაზე შიშს. ეს ეხება უკანა ანტიფრთების მოძრაობას, რომლის დახრილობის კუთხესაც აწესრიგებს პილოტი კაბინიდან. ეს კი შეიძლება ტრასის გარკვეულ მონაკვეთზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მდევნელსა და დევნილს შორის შუალედი წამებში იანგარიშება.

ეს ფრთები შეიძლება გახდეს ავარიის მიზეზი, ისეთისა, რომელშიც „ევროპის გრან-პრიზე“ მოხვდა მარკ უებერი. ახლა თუ კი ეს საშიშროება დადასტურდება, გაფიცვა ნამდვილად შეიძლება. პილოტები მოითხოვენ ამ პრობლემის დროზე გადაჭრას.



# უეფამ ფორმატი დაამტკიცა

**ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირმა (უეფა) დაამტკიცა ბრაზილიაში 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ევროპული შერჩევის ფორმატი. ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობს უეფას აღმასკომის ორდღიანი სხდომის შედეგებიდან.**

ადრე, მარტში ფიფას აღმასკომის სხდომამ, შვეიცარიის ციურიხში რომ გაიმართა, ევროპას მსოფლიო ჩემპიონატისთვის ისევ დაუტოვა 13 საგზური. როგორც ცნობილი გახდა, 53 ნაკრები გაიყოფა 9 ჯგუფად — 8 ექვს გუნდად და ერთიც ხუთი გუნდით. ცხრავე ჯგუფის გამარჯვებული პირდაპირ მოხვდება ფინალურ სტადიაზე, რვა მეორე ადგილის მფლობელი საუკეთესო მაჩვენებლებით მონაწილეობას მიიღებს პლეიოფის მატჩებში, რათა გაირკვეს ფინალური ტურნირის კიდევ ოთხი მონაწილე.




ამ ფორმატის მიღების გარდა, აღმასკომმა ასევე დაამტკიცა ჩემპიონთა ლიგის, ევროპის ლიგის, უეფას სუპერთასის, ქალთა ჩემპიონთა ლიგის და ფუტზალში 2011-2012 წლების უეფას თასის რეგლამენტი, აგრეთვე ფუტზალში 2012 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაციის რეგლამენტი და ანტიდოპინგის წესდება 2011 წლისთვის.

აღმასკომმა აირჩია სტამბოლი 2012 წელს უეფას კონგრესის გამართვის ადგილად, ასევე დაამტკიცა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფეხბურთის ფედერაციის 2011 წლის 1 აპრილიდან ავტომატური დისკვალიფიკაციის შესახებ ადრე მიღებული გადაწყვეტილება, თუ თავის წესდებაში არ შეიტანენ საჭირო ცვლილებებს. უეფამ ასევე დაამტკიცა მუშა ჯგუფის რეკომენდაციები კორუფციისა და „მოლაპარაკებული“ მატჩების შესახებ.

# უქმრობა მობეზრდა

**შერეული ორთაბრძოლების წარმომადგენლის ალექს რიდის ყოფილ ცოლს კეტი პრაისს მოსწყინდა უქმრობა (ის რიდს თებერვალში გაეყარა). ახალ ბოიფრენდს მან მალე მიაგნო. ისაა არგენტინელი მანეკენი ლეონარდო პენინა.**

რასაკვირველია, პირველად მამაკაცი სთავაზობს თავის ხელსა და გულს ქალს, მაგრამ პრაისთან სხვანაირად მოხდა. როგორც ინგლისური პრესა წერს, 32 წლის ლამაზმანმა დრო არ გაწელა და ლათინოამერიკელს ქორწილი უცებ შესთავაზა, ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში ქეიფის შემდეგ ნაბახუსევს რომ გაეღვიძა.



◎ საღამო

# „პიონერფილმში“ მამა იოანე ჩიგოგიძის ფილმების პრემიერა გაიმართა

**21 მარტს, საღამოს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ერთი მშვენიერი შემოქმედებითი საღამო გაიმართა. „პიონერფილმმა“ დეკანოზ იოანე ჩიგოგიძეს უმასპინძლა. მამა იოანემ დოკუმენტური ფილმების მთელი სერია შექმნა წმინდა ადგილებში,**




**სადაც იესო ქადაგებდა, და სხვაგან თავისი მოგზაურობის შესახებ.**

სცენას ჯერ „პიონერფილმის“ აღსაზრდელები ამშვენებდნენ, რომელთაც მამა იოანეს ლამაზი ლექსები უძღვნეს. შემდეგ ეკრანზე პატარა ბიჭუნა გამოჩნდა ზღვასავით ლურჯი უძირო თვალებით, ეს მამა იოანეს მრავლისმეტყველი მზერა იყო...

დოკუმენტურ ტრილოგიაში დეტალურად არის აღწერილი წმინდა ადგილები ბეთლემსა და ბულგარეთში, თურქეთსა და საბერძნეთში. დეკანოზს არც სამშობლოდან დაფანტული ქართველები დავიწყებია, ფერეიდანში მოგზაურობისას რამდენიმე ქართულ ოჯახსაც ესტუმრა, რომლებიც სომხებთან, ქურთებთან და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად ცხოვრობენ.

„თქვენ ჩემი მოგლეჯილი ხორცი ხართ“, — ეუბნება მათ მამა იოანე და თითოეულს ლოცავს, რწმენის გაძლიერებისკენ მოუწოდებს. მამა იოანემ ეს ფილმები უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოსს ილია II უძღვნა. ის კიდევ ბევრ ქალაქში გეგმავს მოგზაურობას და, რა თქმა უნდა, იქაურ შთაბეჭდილებებსაც უნიკალურ დოკუმენტურ მასალად აქცევს.

აღფრთოვანებული სტუმრები ემოციებს ვერ მალავდნენ. განსაკუთრებით მადლიერები იყვნენ „პიონერფილმის“ აღსაზრდელები. საღამო თემურ წიკლაურის სიმღერით დასრულდა.

**ირინა ოზოლაშვილი**

◎ „ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი“

# მშობლებს შვილებთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევენ

**სასჯელთა აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი ეკა კალმახელიძე აცხადებს, რომ მსჯავრდებულებს ევროსტანდარტების შესაბამისი პირობები აქვთ შექმნილი. საპატიმროების გარეთ კი სულ სხვა ხმები გამოდის. სწორედ ამ შეუსაბამობათა გადამოწმების მიზნით ჟურნალისტთა, ადვოკატთა, არასამთავრობო უფლებათა დამცველი ორგანოების წარმომადგენლები სამინისტროს შენობას მიადგნენ. ისინი ითხოვდნენ ციხე-კოლონიების ერთდღიან შეშვებას ვითარების ადგილზე გარკვევის მიზნით. კალმახელიძის უწყებამ მოთხოვნა უგულებელყო.**

### კიდევ ერთი ახალი პრობლემა?

სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში შექმნილი ყველასათვის ცნობილი გაუსაძლისი პირობების გარდა, რაც საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, წინა პლანზე წამოიწია მოკლევადიანი პაემნების მოგვარების საკითხმა.

საქმე ის არის, რომ მოკლევადიანი შეხვედრის უფლება, სამინისტროს შიდა უწყებრივი ბრძანებით, თვეში 3-4-ჯერაა ნებადართული (ეს ქალებისთვის, მამაკაცებისთვის — უფრო იშვიათადძ. ქალი ტუსაღები უკმაყოფილონი არიან, რომ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით ბავშვებს მინის ტიხარის მეშვეობით ხედავენ და ტელეფონით ესაუბრებიან, ისეთი სიტუაციაა, რომ ოთახში, სადაც პატიმარი ქალები ოჯახის წევრებს ხვდებიან, ერთბაშად 24 ქალს უშვებენ. არის საშინელი ხმაური, ყაყანი. იგივე ვითარებაა შუშის ტიხარს იქითაც.

ყველაზე ამაზრზენად მსჯავრდებულ ქალებს მიაჩნიათ ის, რომ „ევროსტანდარტებით“ აშენებულ საპყრობილეებში ხანმოკლე პაემანზე (1 საათიანზეძ მოსულთ ყველას ჩხრეკენ. პატარებს პამპერსებსაც კი ხდიან. რა საჭიროა ასეთი სიმკაცრე, როდესაც ერთმანეთს ტიხარს მიღმა ესაუბრებიან და ვერ ახერხებენ შვილების ჩახუტებას.

პატიმრების საყვედურს ეთანხმება პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უმრავლესობის წევრი რუსუდან კერვალიშვილიც. დედის პირველი მოთხოვნილება ისაა, რომ შვილს შეეხოს, მასთან კავშირი ჰქონდეს. დედაშვილობა ისეთი რამაა, რაც ყველა სიტყვას აღემატება — ამბობს ვიცე-სპიკერი. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა და ამ პრობლემასაც მალე მოევლება.

პარლამენტარს, უმცირესობის წევრ ჯონდი ბაღათურიას ტუსაღმა ქალებმა უსაყვედურეს იმ განცხადების გამო, როდესაც მან ქალთა კოლონიის ვიზუალური დათვალიერების დროს თქვა, ყველაფერი ევროპული სტანდარტების დონეზეა შესრულებულიო. რა ნახა ჩვენს ცხოვრებაში ევროპული დონისო, კითხულობენ სასჯელმისჯილნი.:

ბაღათურია აცხადებს, რომ მან ეს შეფასება გარე ფასადს მისცა, თორემ შიგნით რაც ხდება, ძალიან კარგად იცის. იგი აღნიშნავს, რომ თვითონ და მისი პოლიტიკური ორგანიზაცია „დასი“ კვლავაც იბრძოლებენ პატიმართა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

ქალ პატიმრებთან დაკავშირებით კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა იკვეთება. თუ მსჯავრდებული ციხეში ფეხმძიმე მოხვდა, ან ხანგრძლივი პაემნის შემდეგ დაორსულდა, რა ელის ნაყოფს? დიეტოლოგ ნინო ელიზბარაშვილის განმარტებით, ეს საშინელება იქნება (ღმერთმა მაპატიოსო — აცხადებს იგიძ. თუ ამას ემატება მომავალი დედის შეჭირვებული ოჯახიდან წარმომავლობა, საპყრობილეში არაკალორიული კვება (რომელ დიეტაზეა საუბარიძ და ა. შ. ბავშვის ქვეყნად მოვლენის შემდეგ ასეთ ვითარებაში ნაკვები დედის რძე, ცხადია, ახალშობილის რაციონს ვერ დააკმაყოფილებს. დამატებით საკვებს ვერ მიიღებს. ძუძუზე დამოკიდებულების შემცირების შემდეგ (ან ასეთ პირობებში ექნება კი რძე მშობელს?ძ რით უნდა გამოკვებონ პატარა? თანამედროვე პირობებში ჩვილი ან დისტროფირებული გაიზრდება ან სასიკვდილოდაა განწირული — ამბობს ელიზბარაშვილი.

ასეთ ვითარებაში კალმახელიძე ამაყად აცხადებს, რომ მშობიარე დედებისათვის ცალკე ოთახებს ამზადებს და ისინი იზოლირებული იქნებიან დანარჩენი პატიმრებისაგან. უფიქრია კი სხვა პრობლემებზე ქალბატონ მინისტრს?

**ზაზა ბილიხოძე**

◎ ჩვენი კარაბადინი

# დიაგნოზია „ონკოლოგია“...




### არის შანსი — ტრამეტა!

**ნაირფეროვანი ტრამეტა — ძლიერი სამკურნალო სოკოა, რომელმაც აღიარება მოიპოვა თავისი სამკურნალო თვისებების გამო. ეს საოცარი სოკო ავლენს თავის სამკურნალო პოტენციალს და სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებებს მკაფიოდ და სწრაფად.**

ტრამეტას ექსტრაქტი ზემოქმედებას ახდენს კეთილთვისებიანი ახალწარმონაქმნების თერაპიის დროს: წინამდებარე ჯირკვლის ადენომის, მასტოპათიის, მიომას, სარკომის, პოლიპების, კისტის... დროს.

აგრეთვე ავთვისებიანი სიმსივნეების დამატებითი თერაპიის დროს: ტრამეტის ნივთიერებანი წინააღმდეგობას უწევენ სიმსივნის მიერ იმ ნივთიერებათა გამოყოფას, რომელიც სტიმულს აძლევს მის ზრდას, ბლოკავს სიმსივნის ნებისმიერი ლოკალიზაციის სისხლძარღვებს, არ აძლევს ახლებს განვითარების საშუალებას. წინააღმდეგობას უწევს უკვე არსებულ კეთილთვისებიან სიმსივნეებს, არ გადაიზარდონ ავთვისებიანში.

ტრამეტა გვიცავს კიბოს უჯრედების გამრავლებისგან, მეტასტაზებისა და ხელმეორედ წარმოქმნისგან.

ტრამეტას გამოყენება რეკომენდებულია ქიმიოთერაპიის წარმოქმნამდე, მის შემდეგ და მის დროს — აღდგება კუჭნაწლავთა მიკროფლორა, ნორმალურად იწყებენ მუშაობას ღვიძლი და თირკმელები; თან არ ახლავს მტანჯველი პირის ღებინება, გულის რევა, თმის ცვენა.

მეცნიერების ჯგუფის მუშაობამ ამ სოკოს სიმსივნისსაწინააღმდეგო თვისებების კვლევის საქმეში მიგვიყვანა პროდუქტის „ნაირფერი ტრამეტას“ შექმნასთან.

**დარეკეთ და შეუკვეთეთ ტელეფონით მოსკოვში: 8 (495ძ785-51-18.**

### ექსტრაქტი „ნაირფეროვანი ტრამეტა“ რეკომენდებულია:

- კეთილთვისებიანი წარმონაქმნების დროს (მიომა, მასტოპათია, პროსტატის ადენომა, სარკომა, კისტა, პოლიპებიძ;
- სხვადასხვა ფორმისა და ხარისხის ონკოლოგიურ დაავადებათა დამატებითი მკურნალობის დროს;
- გადატანილი ქირურგიული, სხივური, ქიმიოთერაპიული ზემოქმედების დროს, თავიდან გვაცილებს სიმსივნეების ზრდას და მეტასტაზების ფორმირებას.

**გამოყენების წინ კონსულტაცია გაიარეთ სპეციალისტებთან.**

◎ ინფორმაცია

### საზღვრის „უკანონო“ გადამკვეთნი

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახური აცხადებს, რომ 2011 წლის დასაწყისიდან საქართველოსთან საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით სულ დაკავებულია 65 ადამიანი.**

**მათივე ინფორმაციით, მხოლოდ 7-დან 21 მარტამდე დაკავებულია 13 ადამიანი.**

**— 9 მათგანი საქართველოს მოქალაქეა, 3 რუსეთის ფედერაციის მოქალაქე და 1 სამხრეთ ოსეთის მოქალაქე. მათგან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 3 ადამიანს, სამხრეთ ოსეთიდან გაძევებულია 9 ადამიანი. საქართველოს 1 მოქალაქე დაპატიმრებულია და მის მიმართ საგამოძიებო ღონისძიებები ტარდება, — იუწყება ოსური მედია.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ტესტი

# როგორია თქვენი ფსიქოლოგიური ასაკი?

**უპასუხეთ ტესტის საკმაოდ მარტივ კითხვებს, რაც დაგეხმარებათ განსაზღვროთ ეს. პასუხები ფასდება ასე — პასუხისთვის „ყოველთვის“ დაიწერეთ 4 ქულა, „ზოგჯერ“ — 3 ქულა, „იშვიათად“ — 2 ქულა, „არასოდეს“ — 1 ქულა.**

1. დილით როცა იღვიძებთ, გრძნობთ სიმსუბუქეს და ძალების მოზღვავებას?
2. ცდილობთ გაიჩინოთ ახალი ნაცნობები?
3. მოგწონთ ცვლილებები და რისკი?
4. თუ გრძნობთ, რას ფიქრობენ ან შეიგრძნობენ სხვა ადამიანები?
5. თუ ისახავთ გეგმებს სამომავლოდ?
6. თქვენთვის სიმპათიურები არიან ის ადამიანები, ვინც თქვენ არ გგავთ?
7. თუ გრძნობთ კმაყოფილებას, როდესაც ეთამაშებით პატარა ბავშვებს, მათ შორის უცხო ბავშვებსაც?
8. თუ მიგაჩნიათ თქვენი სამუშაო მნიშვნელოვნად და საინტერესოდ?
9. მოგწონთ სხვა ადამიანებთან შეხება: მეგობრების კოცნა შეხვედრის დროს, მეგობრების მოხვევა?
10. თქვენი აზრით, სიამოვნებთ ადამიანებს თქვენი საზოგადოება?
11. თუ გრძნობთ კმაყოფილებას ცხოვრებით?
12. ასრულებთ დილის ვარჯიშებს ან თუ მისდევთ სპორტის რომელიმე სახეობას თქვენთვის?
13. გართობთ რთული ამოცანების გადაწყვეტა?
14. გიყვართ ცეკვა და (ანძ სიმღერა?
15. თუ ტირიხართ, როდესაც უყურებთ რომანტიკულ მელოდრამას ან თვალყურს ადევნებთ რომელიმე ამაღელვებელ სცენას ცხოვრებაში?
16. ოცნებობთ და ფანტაზიორობთ?
17. თუ უყურებთ მომავალს გაბედულად, გწამთ უკეთესი მომავალი?
18. თქვენს სამუშაოს თუ აფასებთ, როგორც თამაშს?
19. თუ ფიქრობთ ხოლმე ახალ, არასტანდარტულ საშუალებებზე სხვადასხვა საქმის გაკეთების დროს?
20. თუ მიგაჩნიათ ცხოვრებაში ამა თუ იმ იდეის თავად განხორციელება მიმზიდველად და მომხიბლველად?

## შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

**20-25 ქულა. ალბათ, თქვენ თავი მიგაჩნიათ, როგორც ხალხში ამბობენ, ცხოვრებისგან რამდენადმე მოქანცულ ადამიანად. შეეცადეთ, მოძებნოთ თქვენს თავში ის თვისებები, რომლებიც დაგეხმარებიან შეხედოთ ვითარებას სხვა რაკურსით, იყოთ უფრო გულღია და უშუალო, მაშინ ფიზიკურადაც და სულიერადაც იგრძნობთ თავს გაცილებით უფრო ახალგაზრდულად.**

**36-59 ქულა. თქვენი ფსიქოლოგიური ასაკი ფსიქოლოგიურად შეესაბამება ბიოლოგიურს. მხოლოდ მრავალრიცხოვანი საზრუნავის ფონზე, გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ, თუ როგორ უნდა იყოთ ბედნიერი. ბედნიერება ხომ წვრილმანებშია. იგი სულ ახლოსაა, ძალიან მარტივ რამეებში! ბავშვებთან თამაში, მათი სიხარულის გათავისება, მათი ბედნიერების ხილვა — ეს ხომ ბედნიერებაა. ერთი საერთო ღიმილი ორივესთვის — ეს ბედნიერება არაა?! ღიმილი, რომელსაც მხოლოდ ორნი გრძნობენ... ნუ მისცემთ თავს ნებას, დაივიწყოთ შეყვარებულის შეგრძნება. მიმოიხედეთ ირგვლივ — ეზოში უკვე გაზაფხულია! ახალი ემოციებისა და ცვლილებების დრო!**

**60-80 ქულა. თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით სულით, შეიძლება რაღაცით ბავშვად დარჩით. ნუ გეშინიათ, გააოცოთ სხვები და თავადაც ნუ გაიოცებთ. მზად ხართ, გაიზიაროთ ბრძენთა შეგონება: „ცხოვრება მოკლეა! აპატიე სწრაფად. იცინე თავშეუკავებლად. იცეკვე, თითქოს არავინ გიყურებს. იმღერე, თითქოს არავინ გისმენს. გიყვარდეს, თითქოს არავის მოუყენებია შენთვის ტკივილი. იმიტომ, რომ სიცოცხლე ერთხელ ეძლევა ადამიანს, სუნთქვაც მთელი მკერდით უნდა იყოს აქ და ახლა, უნდა ეცადო, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეს და არ გადადო სამომავლოდ...“ ერთი რამ გვრჩება გისურვოთ — ნუ უღალატებთ საკუთარ თავს, ბედმა როგორი გამოცდაც უნდა მოგიწყოთ.**

პეკინის ქ. №33 ა, IV სადარბაზოს მცხოვრებნი დიდი მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი პიროვნების და მეგობრის

დავით ჯანგიძის

გარდაცვალებას და ღრმა სამძიმარს უცხადებენ მის დას ციცოს. პანაშვიდი 24, 25 III, 17 სთ. გამოსვენება 26 III, 14 სთ. მისამართი: პეკინის ქ. №33ა, IV სადარბაზო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

### სიძვირის რეიტინგის რეკორდსმენები



**ტოკიო, მოსკოვი, ჰონკონგი, ლონდონი, სინგაპური, კარაკასი, აბუ დაბი, ბოგოტა, სან ფრანცისკო, ჟენევა – ესენი არიან სიძვირის მხრივ შარშანდელი რეიტინგის ლიდერები, რომელიც ბრიტანულმა კომპანიამ „ECA ინტერნეიშნელმა“ შეადგინა.**

ევროპის ქალაქებს შორის ბინის ქირა მოსკოვში ყველაზე მაღალია. კერძოდ, საშუალო ფართის მქონე სამოთახიანი ბინა თვეში დაახლოებით 1750 ევრო ღირს. სტუმართათვის ამ მეტად არასასიამოვნო მაჩვენებლის მიხედვით, მომდევნო ადგილებზე არიან **ლონდონი, პარიზი და სტამბოლი.** აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო დროს ბინების ქირაობის ფასებმა **ათენში, მადრიდში, ბუდაპეშტსა და ბუქარესტში** დაიკლო.

სიძვირის მხრივ მოსკოვი სხვა რეიტინგშიც პირველობს აგერ უკვე ექვსი წლის მანძილზე. ბრიტანული „ჰუჯ რობინსონ გრუპის“ გამოკვლევით, მოსკოვის სასტუმროებში დღე-ღამე, საშუალოდ, 415 დოლარი ღირს. „სიძვირის რეიტინგში“ მთლიანად მსოფლიოს 75 ქალაქი მოხვდა, რომელთაგან ბოლო დროს ყველაზე მეტად ფასებმა აბუდაბისა და სიდნეიში მოიმატა (შესაბამისად, 25 და 32 პროცენტით).

### მილიონი პუანკარეს „თავსატეხში“

**სანკტ-პეტერბურგელი მათემატიკოსის გრიგოლ პერელმანის სახელი მთელ მსოფლიოში 2006 წელს გახდა ცნობილი, როცა გაიგეს, რომ მან პუანკარეს ჰიპოთეზა დაამტკიცა. ამ მათემატიკური თავსატეხის ამოხსნას მსოფლიოს მრავალი უდიდესი მათემატიკოსი ბოლო ასი წლის მანძილზე ამაოდ ცდილობდა.**

მაშინ ჭორიც დაირხა, თითქოს მათემატიკოსმა უარი განაცხადა ჰიპოთეზის დამტკიცებლისთვის დადგენილი მილიონი დოლარის პრემიის მიღებაზე.

უნდა ითქვას, რომ რაც შეეხება თავად ჰიპოთეზას, ეს სრული ჭეშმარიტებაა: ჯერ კიდევ 2002-2003 წლებში მან სათანადო სამუშაო ინტერნეტში გრიშა პერელმანის სახელით გამოაქვეყნა. რაც შეეხება მილიონს – ეს ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება, თუმცა ათასწლეულის შვიდი ამოცანიდან ერთ-ერთის ამოხსნაში მართლაც სოლიდური ჯილდოა დაწესებული. მათ რიცხვში პუანკარეს ჰიპოთეზაც შედის.



დიდ მითქმა-მოთქმას პეტერბურგელებში სხვა საკითხი იწვევს: იცის კი თავად პერელმანმა მილიონი დოლარის ამბავი? საქმე ის არის, რომ უნიჭიერესი მათემატიკოსი განდეგილად ცხოვრობს, ამდენად ბოლო ჯერზე მიღებული მედლის შესახებ მას ხმა ძლივს მიაწვდინეს...

### „მეგობარს ჩახედე თვალებში...“



**თურმე, მამაკაცებს უჭირთ საგნების კარადაში და კვების პროდუქტების მაცივარში პოვნა იმის გამო, რომ მათ შორის მრავალს პერიფერიული მხედველობა ცუდად აქვს განვითარებული. მამაკაცებს უფრო მეტად „გვირაბისებრი“ მხედველობა აქვთ გამახვილებული, ამიტომ მათი მზერა ზევით-ქვევით მოძრაობს. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ისინი ასე გულმოდგინედ ათვალიერებენ ქალებს.**

ქალები კი, პირიქით, პერიფერიულ მხედველობას საუცხოოდ ფლობენ. მათი მხედველობის არე 45 გრადუსით ზევით, ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ არის გავრცელებული. ამიტომ, საკმარისია მამაკაცს მარტო თვალებში შეხედონ, რომ იგი შეუმჩნევლად თხემით ტერფამდე შეისწავლონ.

### ნახევრად „გაყინული“ პაწაწინა

**ბრიტანელმა მედიკოსებმა ახალშობილი გოგონა, რომელსაც სუნთქვა არ შეეძლო, სიკვდილს გადაარჩინეს.** მისი თავის ტვინი რომ არ მომკვდარიყო, პატარას სხეულის ტემპერატურა 72 საათით ცელსიუსის 33 გრადუსამდე ჩამოიყვანეს. ამან ჩვილის თავის ტვინს აღდგენის შესაძლებლობა მისცა. ახლა ცხრა თვის გოგონა სავსებით ჯანმრთელია.

### დედამიწის „გასაშუალოებული“ მკვიდრი

**28 წლის მამაკაცი, ჩინელი – ესაა დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ადამიანის „გასაშუალოებული“ ნიშნები.**

ამერიკელ მკვლევართა აზრით, ეს კაცი მარჯვენა ხელს მარცხენაზე უკეთ ხმარობს, თვეში ათას დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, აქტიურად სარგებლობს მობილური ტელეფონით, სამაგიეროდ არ აქვს საბანკო ანგარიში. მეცნიერთა აზრით, დედამიწაზე ასეთია ცხრა მილიონი კაცი.



ეგ კი ეგრეა, მაგრამ თუ „ჩინელს“, „მამაკაცსა“ და „28 წელს“ მაინცდამაინც ყურადღებას არ მივაქცევთ, ამ ცხრა მილიონს საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილიც შეიძლება მივუმატოთ.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● 35 წლის მოცარტს 600-ზე მეტი ნაწარმოები ჰქონდა შექმნილი, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მის ქვრივს მისთვის საფლავის საყიდელი ფული არ აღმოაჩნდა.

● რემბრანდტს სახლში მხოლოდ ორად ორი წიგნი ჰქონდა – „ბიბლია“ და „ანატომიური ატლასი“.

● სახელწოდება სადიზმის წარმოშობა უკავშირდება ფრანგ არისტოკრატს, მწერალ მარკიზ დე სადს, თავად გადამეტებული სექსუალობით გამოირჩეოდა, უყვარდა სექსუალური პარტნიორების დამცირება და მათთვის ტკივილის მიყენება.

● მაზოხიზმის წარმოშობა უკავშირდება ავსტრიელ მწერალ ლეოპოლდ ფონ ზახერ-მაზოხს, რომლის ნაწარმოებებში მთავარი გმირი, მამაკაცი, სექსუალურ სიამოვნებას იღებს მაშინ, როდესაც მას ან ამცირებენ, ან ტკივილსა და შეურაცხყოფას აყენებენ.

● ცნობილ სამ მათემატიკურ უცნობებს X, Y და Z სახელები ფრანგმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა დეკარტმა დაარქვა.

● ცნობილია, რომ რომის იმპერატორებს სიკვდილის შემდეგ ღმერთებად აღიარებდნენ. იმპერატორმა ვესპასიანემ სიკვდილის წინ შესძახა: „რა სამწუხაროა, მე ღმერთი ვხდები“.

● რომის იმპერატორი კალიგულა და იმ დროის ცნობილი მსახიობი აპელესი იუპიტერის ქანდაკებასთან იდგნენ. კალიგულამ ჰკითხა აპელესს: „ვინ უფრო მაღალია, მე თუ ღმერთი?“ წამიერი დაფიქრების შემდეგ მსახიობმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, თქვენ, იმპერატორო!“ კალიგულამ აპელესისათვის თავის მოკვეთა ბრძანა და იცით რატომ? – წამიერი ჩაფიქრებისთვის.

● „მგზავრო! სპარტაში რომ ჩახვიდე აუწყე ყველას, რომ ჩვენ აქ ვწევართ და გვიხილე ვალმოხდილები“, – ამ ეპიტაფიის წაკითხვა თერმოპილეს ხეობაში აღმართულ სვეტზე შეიძლებოდა, სადაც სპარტელთა მეფემ ლეონიდემ 300 მეომართან ერთად სპარსეთის მეფეს ქსერქსეს 600-ათასიანი ლაშქარი შეაკავა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7039 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3650 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7283 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +8 – +17 |
| ქუთაისი. | +11 – +21 |
| ბათუმი. | +13 – +19 |
| ზუგდიდი. | +12 – +18 |
| თელავი. | +7 – +11 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

## კადრი



**იყიდება, ქირავდება!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## ანეკდოტები

ნამდვილი სიძუნწე არის ის, როცა იმისთვის, რომ არაფერი გასცე, მზად ხარ, დათმო სიცოცხლე.

* * *

იმისთვის, რომ სასურსათო კალათის ღირებულება არ გაიზარდოს, მთავრობამ გადაწყვიტა, ჩართოს მასში სულიერი ფასეულობებიც, რომელთა ფასი მუდმივად მცირდება.



* * *

მოლიპულ დალმართზე კულტურული ხალხის რაოდენობა მკვეთრად მცირდება.

* * *

– რით განსხვავდება მამკაცური ლოგიკა ქალურისგან?

– მამაკაცური ლოგიკა სწორია, ქალური – საინტერესო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.